პროლეტარიანებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 240 (18782) ოთხშაბათი, 19 ოქტომბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას! პარტიისა და ხალხის ერთიანობა, დიდი ლენინის ანდერძი — საბოლოო ერთგულება ყველა ჩვენი გამარჯვების საწინდარია!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

მტკიცედ ესწრაფვიან მშვიდობას

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მილიტარისტული კურსის გამო გამოხატავს მთელი ჩვენი ქვეყნის მისწრაფებას მშვიდობისადმი. მან მხურვალე გამოხმაურება პოვა საბჭოთა ადამიანის გულში. ამას მოწმობს წერილების უწყვეტი ნაკადი და საკდესის კორესპონდენტთა ცნობები.

— ჩვენ, ლენინგრადელი მუშები, ისევე, როგორც ყოველი საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ ვიწონებთ ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადებას, — თქვა გაერთიანება „ელექტროძალის“ ჩარხების გამმართველმა ლ. ვინოგრადოვმა. — არ შეიძლება გულდამშვიდებით ეკიდებოდე იმას, რომ გაშინგტონი და მისი ნატოელი თანამზრახველები ამზადებენ ახალ სასტარტო მოედნებს რაკეტებისათვის, რომლებიც დამიზნებული იქნება ჩვენს მშვიდობიან ქალაქებზე, ყველფერზე, რაც ხელახლა ავაშენეთ ომის შემდეგ, რითაც ვამაყობთ და რაც გვიყვარს.

— საბჭოთა ადამიანები მშვიდობიანად შრომობენ, — ადასტურებს ამ აზრს ტალინელი თბომავლის მემანქანე **რ. კაიკო.** — ამიტომ გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის შემაძრწუნებელი ზრახვები, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების გაჩაღება, ადამიანების მოსპობის ახალ საშუალებათა შექმნა. ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადება აფრთხილებს თეთრი სახლისა და ნატოს თავფიცხელ მოღვაწეებს.

— განცხადება გამსჭვალულია მილიონობით ადამიანის ბედისათვის გულწრფელი ზრუნვით, მშვიდობისმოყვარეობის ღრმა პათოსით, — მიაჩნია ყაზახეთის სსრ სახალხო არტისტს **ა. დნიშვს.**

მშრომელები თავიანთ გამოხმაურებებში ლაპარაკობენ საბჭოთა ხალხის მშვიდობისმოყვარეობის შესახებ და ამავე დროს ხაზს უსვამენ, რომ დოკუმენტში გამოხატულია საბჭოთა კავშირის მტკიცე გადაწყვეტილება დაიცვას თავისი და მეგობრების უშიშროება.

— ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ ჩვენი სახელმწიფოს კეთილი ნება, მოლაპარაკების სურვილი არავინ არ უნდა მიიჩნიოს სისუსტის ნიშნად — წერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **გ. ჯიბლაძე.** — ჩვენი ქვეყანა შეძლებს საკადრისი პასუხი გასცეს შექმნილი სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობის დარღვევის ყოველ ცდას.

— გამოვიარე ომის ქარცეცხლიანი გზები, ჩემს ფრონტელ ამხანაგებთან ერთად ხელი მოვაწერე რაიხსტაგის კედელზე. ამიტომ ჩემთვის, ისევე, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, რომლებიც ხმას იმაღლებენ მშვიდობის დასაცავად, უეჭველია: ვაშინგტონელ თავკაცთა საიმპერიო ზრახვები ჩასაფშვნად არის განწირული. ისტორია არავის აპატიებს მისი გაკვეთილების დავიწყებას, — თქვა თურქმენეთის სსრ სახალხო არტისტმა **მ. ფარაჯევამ.**

— როგორც სახალინის მცხოვრები, განსაკუთრებით შეშფოთებული ვარ იმის გამო, რომ ვაშინგტონი სულ უფრო ითრევს თავის მილიტარისტულ გეგმებში იაპონიას, რომლის მთავრობა რეიგანის ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ არის მოქცეული, — წერს სახალინის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კომსომოლეცის“ მეკარტოფილეთა ბრიგადირი **ვ. კრავჩუკი.** — იაპონიის ხელი ურევია ამერიკის შეერთებული შტატების იმ პროგოკაციაშიც, რომელიც დაკავშირებულია სამხეთ კორეის თვითმფრინავთან, ამას წინათ ჯაშუშური მიზნით რომ გადაუფრინა ჩვენს კუნძულს. როგორც ჩანს, ისტორიის გაკვეთილებმა ვერაფერი ასწავლეს პოლიტიკური ავანტიურისტებს. მათ შეგნებული უნდა ჰქონდეთ, თუ რა შეიძლება მოუტანოს პირთვულმა ომმა ქვეყანას, რომელმაც ერთხელ უკვე გამოსცადა ატომური ბომბის აფეთქება.

მუშები, სოფლის მშრომელები, მოსამსახურენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მოსწავლეები — სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივებს და ელდებულებას კისრულობენ დამკვრელური შრომით განამტკიცონ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება. (საკდესი).

დიდი ხნის მეგობრული კავშირურთიერთობა აქვთ ბათუმელ მანქანათმშენებლებს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის მუშაკებთან. მარტო წლეულს ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხანა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებს გაუგზავნის 450 ათასი მანეთის მანქანებსა და მოწყობილობას. ახლა ხაწარმოს ხაამქროებში სრულდება მომმე ქვეყნის მორიგი შეკვეთა: აწყობენ ჩაის სახმობ ღუმელებს, როლერებსა და კალორიფერებს.

სურათზე: აწყობენ როლერებს, ჩაის ფოთლის საგრეხ მანქანებს.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

გავაუმჯობესოთ მუშაობა კადრებთან

ხლახან სოციალისტური შრომის გმირი მ. პანფილოვი დაჯილდოდა ლენინის ორდენითა და მეორე „ნამალისა და ჩაქუჩის“ ოქროს medlsta. ცნობას ამის შესახებ დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ლენინგრადის ოპტიკურ-მექანიკური გაერთიანების კოლექტივში, სადაც მიხეილ პანფილოვი გენერალურ დირექტორად მუშაობს. ორმოც წელზე მეტი მოუხმარა მან საწარმოს. აქ გახდა იგი გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მნიშვნელოვანია მისი დამსახურება გაერთიანების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, კოლექტივის შეკავშირებაში, ახალი ტექნიკის შექმნასა და წარმოებაში.

ჩვენს ქვეყანაში ბევრია ინიციატივიანი, კომპეტენტური მუშაკები, რომლებსაც ახასიათებთ პოლიტიკური ხიმწიფე და ორგანიზატორული ნიჭი. სამართლიანად ამაყობს რა ამ ადამიანებით, პარტია განუხრელად იღებს, რათა ასეთი თვისებებით გამოირჩეოდეს თითოეული, ვინც შრომითი კოლექტივების მეთაური ხდება. კადრების თვისებრივი შემადგენლობისა და განაწილების შემდგომი გაუმჯობესება, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის უდიდესი შეგნების სულისკვეთებით მათი აღზრდა ყველა დონის პარტორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია.

„კადრებთან მუშაობა, — თქვა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, — მტკიცედ უნდა გვეჭიროს პარტიულ ხელში“. გადასაწყვეტი ამოცანების გართულების კვალობაზე იზრდება მოთხოვნები ხელმძღვანელებისადმი — მინისტრი იქნება იგი თუ ბრიგადირი. ახლა განსაკუთრებით ფასობს მათი უნარი უზრუნველყონ სათანადო დისციპლინა და შრომის ორგანიზაცია, ადამიანთა ნაყოფიერი მუშაობისა და კარგი ყოფა-ცხოვრებისათვის საჭირო პირობები, შექმნან კოლექტივებში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი. და, პირიქით, როცა მუშაკს უნარი არ შესწევს ასე დაიყენოს საქმე, პარტიულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებლად მიჩნიონ იგი.

ხელმძღვანელ კოლექტივს, უწინარეს ყოვლისა, ზრდის სიტყვისადმი ერთგულების, მაღალი დისციპლინისა და უნაკლო ქცევის, სამეურნეო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში თავისი წვლილის თვითკრიტიკული შეფასების პირადი მაგალითით. და დღეს აქტუალურად ჟღერს ლენინის ანდერძი: „...თუ ჩვენ კეთილსინდისიერად ვასწავლით დისციპლინას მუშებსა და გლეხებს, მოვალენი ვართ საკუთარი თავით დავიწყოთ“.

ყოველივე ეს კომუნისტებმა უნდა გაითვალისწინონ საანგარიშოსაარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე პარტიული და შრომის დისციპლინის, ორგანიზებულობისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისათვის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლების გზებისა და საშუალებების შესახებ აზრთა გაზიარების დროს. როცა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის პრაქტიკას ვაანალიზებთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აქ არ არის და არც შეიძლება იყოს წვრილმანები. საჭიროა, კერძოდ, ყურადღებით გავერკვეთ, სადაც მუშაობის რა ფორმები და მეთოდები უნდა განვავითაროთ და განვაზოგადოთ უფრო ენერგიულად, და რა „ჩავაბაროთ არქივში“.

ПРАВДА

18 ოქტომბრის მოწინავე

საქმის წარმატებებისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლების საგულისხმო, საინტერესო გამოცდილება შეიძინა მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ყაზახეთის, სხვა რესპუბლიკების ბევრმა პარტორგანიზაციამ. მაგალითად, საქართველოში შემოქმედებითად აელვნენ პარტიის საკადრო პოლიტიკის განხორციელების ახალ, ეფექტიან ფორმებს. მუშაკთა შერჩევისა და განაწილების დროს აქ ცდილობენ უფრო სრულად გაითვალისწინონ საზოგადოებრივი აზრი. ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისადმი მკაცრი მომთხოვნელობის ატმოსფეროს შექმნას ხელს უწყობს მათი ატესტაცია და ხელახალი ატესტაცია, ანგარიშგება კომუნისტების, შრომითი კოლექტივების წინაშე.

„სხვადასხვა მიზეზის გამო, — წერს „პრავდას“ ჩიტის ოლქის მცხოვრები ა. სემიონოვი, — წარმოიქმნება სიტუაცია, როცა კოლექტივებში ხელმძღვანელები იცვლებიან. ვიღაცა დაწინაურეს, ვიღაც, პირიქით, დაკვეთეს, რადგან თავი ვერ გაართვა მინდობილ უბანს, ვიღაც პენსიაზე გავიდა, და აი დგება საკითხი: ვინ უნდა იყოს ხელმძღვანელი? ფრიად ხერხიოზული კითხვაა! და მისდამი მიდგომა შესაბამისი უნდა იყოს...“ მაგრამ ადამიანთა დაწინაურება ხელმძღვანელ პოსტებზე ზოგჯერ ისე ხდება, რომ მოლიანად არ ითვალისწინებენ მათს ხასიათსა, პოლიტიკურ და ზნეობრივ თვისებებს, ავიწყდებათ გამოიკითხონ, თუ რა აზრისაა პირველადი პარტორგანიზაცია, კოლექტივი. კადრების საინდო რეზერვის მომზადებისათვის საჭირო გულმოდგინე მეცადინეობას ზოგან ცვლიან ფუსფუსით „სიების“, შაბლონური დახასიათებების შედგენის გარშემო. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ წერილების ავტორებსაც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ, თუ მუშაკი ხაქმეს ფუშავს ან ბოროტად იყენებს ხამხარებრივ მდგომარეობას, საქმე უნდა ეხებოდეს იმათ პასუხისმგებლობასაც, ვინც თავის დროზე აღძრა შუამდგომლობა თანამდებობაზე მისი დანიშვნის შესახებ.

სამეურნეო ხელმძღვანელთა ჩამოყალიბება მით უფრო სწრაფად ხდება, რაც უფრო მოგვარებულია კონტროლი მათი მუშაობისადმი არა მარტო ზემოდან, არამედ ქვემოდანაც. მაგრამ, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაშიც იგი არ უნდა გადაიქცეს წვრილმან მეურვეობად საკითხების გამო, რომლებიც უშუალოდ ეხება სამეურნეო მუშაკთა, სპეციალისტთა კომპეტენციას. განსაკუთრებულ და მუდმივ ყურადღებას საჭიროებს ადმინისტრაციის, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების აპარატის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის შემდგომი სრულყოფა.

ანგარიშგება-არჩევნების დროს კომუნისტები სავსებით საფუძვლიანად აცხადებენ: ყოველი მუშაკი, თანამდებობის მიუხედავად, მოვალეა პასუხს აგებდეს საქმისა და საქციელისათვის, უწინარეს ყოვლისა ამხანაგების წინაშე პირველად პარტორგანიზაციაში, თავისი შრომითი კოლექტივის წინაშე. პარტორგანიზაციათა მოვალეობაა ენერგიულად უჭერდნენ მხარს ხელმძღვანელთა სახარგებლო თაოსნობებს და ამავე დროს იჩენდნენ პრინციპულობას ამათ შეფასებაში, ვინც უინიციატივოა, სწორად არ იქცევა. ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული! აი ერთი მაგალითი. ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ კოლმეურნეობა „ჰალინგა“ ესტონეთის სს რესპუბლიკის პიარნუს რაიონში ჩამორჩენილად თვლებოდა. მიზეზები? უმთავრესად — ხელმძღვანელობის სისუსტე. ბევრს ეცადნენ აქაური კომუნისტები ზეგავლენა მოეხდინათ თავმჯდომარეზე, მაგრამ ამაოდ. და მათ პირდაპირ დასვეს საკითხი თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შესახებ. თავმჯდომარედ არჩეულმა ლ. ტამვერმა დაიწყო დისციპლინისა და წესრიგის დამყარების ღონისძიებებით, რითაც ზოგიერთი კოლმეურნის უკმაყოფილება გამოიწვია. მაგრამ პარტიელებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი ახალ ხელმძღვანელს. და ახლა კოლმეურნეობა მოწინავეთა შორისაა.

მუშაკებისადმი ნდობასა და მომთხოვნელობას პარტია განუხრელი ერთიანობით იხილავს. პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტორგანიზაციები, აუმჯობესებენ რა კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, ამით ამაღლებენ ხელმძღვანელობის დონეს ადგილებზე, ხელს უწყობენ სკკპ XXVI ყრილობის, მისი ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებას.

სსრ კავშირში დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის უ. ელემან-ენსენის მომავალი ვიზიტის შესახებ

მიღწეული მორიგების შესაბამისად დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი უ. ელემან-ენსენი საბჭოთა კავშირს სამუშაო ვიზიტად ეწვევა ამა წლის ოქტომბრის მიწურულს. — ნოემბრის დამდეგს.

იარაღით ღანაპირებს — ღეროებელი პოზიციისაკენ!

ვალდებულებას სამჯერ გადაჭარბეს

რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანის — ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა ქვანახშირის ამოღების ათი თვის გეგმა 16 დღით ადრე შეასრულა. მომხმარებელს — ქვანახშირის ცენტრალურ მამდიდრებელ ფაბრიკას — მეშახტეებმა გეგმის გადამეტებით 25.583 ტონა სათბობი გაუგზავნეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საწარმოს კოლექტივმა წლის დამდეგს — იანვარში ნაკისრი ვალდებულების სამჯერ გადააჭარბა. ი ინ რა განაცხადა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში შახტის მთავარმა ინჟინერმა გ. კაპანაძემ:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავისათვის ნათქვამია: „სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მუშაკებო! გაადიდეთ ნავთობის, გაზის, ქვანახშირის მოპოვება, ელექტროენერგიის წარმოება!“

ჩვენი საწარმოსა და საერთოდ ტყიბულელი მეშახტეები მაქსიმალურად გამოვიყენებთ შესაძლებლობებს ქვანახშირის ამოღების ზრდისათვის. პარტიის მოწოდებას ვუპასუხებთ თავდადებული შრომით, განვამტკიცებთ სახელმწიფო დისციპლინას, ვიბრძოლებთ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას.

ქვანახშირის აწოღების შემდგომ გადიდებას „ტყიბულშახტმშენის“ სამმართველოს კოლექტივის გამართული მუშაობაც შეუწყობს ხელს. ამ ორგანიზაციის მუშაკები წლეულს არნახული შემართებით იღვწიან. მიმდინარე წლის ორივე კვარტალში მათ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა დაიმახსოვრეს. ცხრა თვის გეგმა შახტმშენებლებმა 14 დღით ადრე შეასრულეს. თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით სამი პროცენტით გაიზარდა, მშენებლობის თვითღირებულების შემცირებით 40 ათასი მანეთი დაიზოგა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ გვიროაბგამყვანები ო. გუნიავა, ს. ხუსკივაძე, დ. ზოსიაშვილი, ა. გოტლიაშვილი, ხუროები ო. ყაზიაშვილი, ა. მორჩილაძე, ვ. კუბლაშვილი, შ. შარაბიანი, კ. სახელაშვილი, დ. ჯღარკავა და სხვები.

ბრიგადა გეგჩას ქვანახშირის მომპოვებლები და შახტის მშენებლები ვადაზე მნიშვნელოვნად ადრე შეასრულებენ.

З. ЦИРЕКИДЗЕ,
„კომუნისტ“ საკ. კორ.

საშკვთესო საგოლოო შედეგებისათვის

რესპუბლიკაში დაიწყო შაქრის ჭარხლის ამოღება. მინდვრებში პირველებმა გაიყვანეს აგრეგატები ხაშურის რაიონის მექანიზატორებმა. აქ ყველა სამუშაო სრულდება რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მიერ შედგენილი გრაფიკით. ეს უზრუნველყოფს მიწათმოქმედთა და ტრანსპორტის ზუსტ მოქმედებას. ხაშურელებს, ამინდის რთული პირობების მიუხედავად, გადაწყვეტილი აქვთ დაამზადონ 17.500 ტონა შაქრის ჭარხალი, ჭარხლის აღების სამუშაოები შეასრულონ შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ. უახლოეს დღეებში მოსავლის ასაღებ სამუშაოებს დაიწყებენ ქართლის ველის სხვა მეჭარხლეობის რაიონებიც. სეზონის დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ პრაქტიკულად თითოეულმა მეურნეობამ საქმიანი თანამეგობრობა დაამყარა შაქრის კომბინატთან. ეს ნიშნავს, რომ პროდუქციის დამზადება, მისი ტრანსპორტირება წარმოებს მომიჯნავეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი ერთიანი გრაფიკით. ამის შედეგად მინიმუმამდე მცირდება ნედლეულის დანაკარგები.

რესპუბლიკის, მეჭარხლეებს, რომლებმაც შარშან უხვი მოსავალი მოიწიეს და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის მიეხიჭათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, გადაწყვეტილი აქვთ განამტკიცონ წარმატებანი, თითოეულ ჰექტარზე მოიწიონ სულ ცოტა 400 ცენტნერი ხარისხოვანი ჭარხალი და სახელმწიფოს მიჰყიდონ ათობით ათასი ტონა ძვირფასი ნედლეული.

(საქინფორმი).

თავი ისახელეს

სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის ზესტაფონის ჭარხანა „საქქაბელის“ (დირექტორი გ. კუჯუხიძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი თ. გბელია) კოლექტივი წარმატებით ასრულებს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

დგანან რა საიუბილეო შრომითს ეახტზე მეკაბელეებმა ვადამდე —16 სექტემბრისათვის უპატაკეს მიმდინარე წლის 9 თვის გეგმის შესრულება. წლის დამდეგიდან დამზადებულია 10.200 ათასი მანეთის პროდუქცია. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვებაც. მისმა ხვედრითმა წილმა წარმოების საერთო მოცულობაში 73,5 პროცენტი შეადგინა.

ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი მუშებმა ანიკო შავიძემ, ამირან მოდებაძემ, ნოდარ ჯიქიძემ, ვახტანგ ენუქიძემ და სხვებმა.

ზესტაფონელი მეკაბელეები 9 თვის გეგმის გადამეტებით მომხმარებლებს 450 ათასი მანეთის პროდუქციას მიაწვდიან. მათი გადაწყვეტილებაა წლის გეგმა 21 დეკემბრისათვის, ხოლო ხუთწლედის 3 წლისა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66-ე წლისთავის დღესასწაულისათვის შეასრულონ.

ა. ჯაფარიძე.

მოწინავეთა ჩრდილში

ჭელს იანვარში თუ მომდევნო თვეებში სოფლის მშრომელებმა ვალდებულება აიღისრეს მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის დავალება თავის დროზე გადამეტებით შეესრულებინათ. მათ შორის იყვნენ მეცხოველეებიც, რომელთა დაპირება ის იყო, რომ წლის დროთა და კვარტალების მიხედვით რეგულარულად დაემზადებინათ პროდუქტები. ბევრი რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა პირობა სასახელოდ შეასრულეს. ამიტომაც რესპუბლიკაში ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების ცხრა თვის დავალება საკმაო გადამეტებით შესრულდა. ხორცის დამზადების 9 თვის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, რძისა — 102 პროცენტით, კვერცხისა 106 პროცენტით. მარანდელთან შედარებით 7.418 ტონით მეტი ხორცი, 6.097 ტონით მეტი რძე და 23.402 ათასი ცალით მეტი კვერცხია დამზადებული. მაგრამ ეს მოხდა მოწინავეთა ხარჯზე. მოწინავე რაიონები და საზოგადოებრივი მეურნეობები მართლაც ბევრია. მათი აქ ჩამოთვლა სიმრავლის გამო შეუძლებელია. ვილაპარაკოთ იმათზე, ვინც ჩამორჩა, მოწინავეთა ჩრდილშია, ჰგონია, რომ დაუსჯელი დარჩება.

ახმეტის რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ხორცისა და რძის დამზადების 9 თვის გეგმა ვერ შეასრულეს (ხორცისა 80, ხოლო რძისა 67 პროცენტით შესრულდა); კვერცხის გეგმა კი შეასრულეს, მაგრამ მარანდელთან შედარებით 61 ათასით ნაკლები დამზადდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში ახმეტელებმა თითოეული ძროხის საშუალო წველადობა 53 კილოგრამით შეამცირეს. ხორცის დამზადების გეგმები ვერ შეასრულეს აგრეთვე გურჯაანის, თელავის, წითელწყაროს, რაიონებმა, რძისა — მარნეულის, სიღნაღის, თერჯოლის რაიონებმა, კვერცხისა — ამბროლაურის, ახალციხის, საჩხერის, თელავის რაიონებმა.

უარესი მდგომარეობაა სახელმწიფოსათვის მიყიდული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონის მიხედვით. იმის მაგივრად, რომ ზემდგომი ორგანოების მითითება შეესრულებინათ და სახელმწიფოსათვის გასუქებული პირუტყვი ჩაებარებინათ, ზოგან პირიქით მოხდა; შარშანდელთან შედარებით წელს საგრძნობლად შეამცირეს ჩასაბარებელი პირუტყვის წონა ახმეტის, გეგეჭკორის, მარნეულის, წალკის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონებმა. მარნეულის რაიონმა შარშანდელთან შედარებით წელს თითოეული პირუტყვის წონა საშუალოდ 23 კილოგრამით შეამცირა.

ჩამორჩენილი რაიონების, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს პასუხი უნდა მოვთხოვოთ, რომ ასეთი რამ არ დაუშვან. რესპუბლიკაში საშუალოდ ერთი სული პირუტყვის წონამ 2 კილოგრამით მოიმატა, მაგრამ ეს მოხდა ისევ და ისევ მოწინავეთა ხარჯზე.

საზოგადოებრივ მეურნეობებში არასახარბიელო მდგომარეობაა 100 ძროხასა და ფურკამეჩზე ხბოსა და ზაქის მიღების საქმეში. ცხრა თვეში რესპუბლიკაში საშუალოდ 100 ძროხასა და ფურკამეჩზე 58 ხბო და ზაქია მიღებული. სამწუხაროა ის, რომ რესპუბლიკის საშუალოზე მეტი მხოლოდ აბაშის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დმანისის, ზესტაფონის, ყაზბეგის, კასპის ქარელის, მცხეთის, სამტრედიის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ხაშურის, წალკის, ჩხოროწყუს რაიონებს აქვთ მიღებული. დანარჩენებს საგრძნობლად ნაკლები ნამატი აქვთ.

ქებას იმსახურებენ ასპინძელი მეცხოველეები, რომლებსაც 100 სულზე 85 ნამატი აქვთ მიღებული. ახალციხელებს — 77 სული აქვთ ნამატი, ახალქალაქელებს — 76, ბორჯომელებს — 72, ადიგენელებსა და წალკელებს 71-71 სული.

წლის დასაწყისში ნათქვამ სიტყვას რომ უფრო მეტი ფასი ჰქონდეს, დარჩენილ დროში გეგმა და ვალდებულება უთუოდ უნდა შესრულდეს.

З. МИНДЕЛИ.

მეგობრულ ვიზიტად

ბერლინი. 17 ოქტომბერს გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის შეხვედრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილე ა. ა. გრომიკოსთან.

ა. ა. გრომიკო საბჭოთა ხელმძღვანელობისა და პირადად ი. ვ. ანდროპოვის სახელით ე. ჰონეკერს ძმურად მიესალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა. მათვის მხრივ ე. ჰონეკერმა ა. ა. გრომიკოს სთხოვა ძმურად მიესალმოს და ყოველივე საუკეთესო უსურვოს ი. ვ. ანდროპოვს, საბჭოთა ხელმძღვანელებს.

ე. ჰონეკერისა და ა. ა. გრომიკოს საუბარში, რომელმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საკითხები, აგრეთვე აქტუალური საერთაშორისო საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემას.

საუბარში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვ. ი. კოჩემასოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. გ. კომპლექტოვი, გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მდივანი ჰ. აქსენი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ო. ფიშერი.

საღამოს ე. ჰონეკერმა ა. ა. გრომიკოს გაუმართა სადილი, რომელზეც მათ სიტყვები წარმოთქვეს.

სადილად იყვნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სხვა ოფიციალური პირნი.

ბერლინი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბერლინიდან მოსკოვს გამოემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. იგი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის მოწვევით მეგობრულ ვიზიტად იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

საბჭოთა ჯილდოს გადაცემა

18 ოქტომბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა ხალხთა მეგობრობის ორდენი გადასცა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ნგუენ კო თხატს.

ვ. ვ. კუზნეცოვმა გულთბილად მიულოცა მინისტრს საპატიო ჯილდო, რომელიც მას მიენიჭა დიდი წვლილისათვის საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის ძმური მეგობრობისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებაში.

ნგუენ კო თხატმა უღრმესი მადლობა მოახსენა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს მისი საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის სხდომაზე

17 ოქტომბერს მოსკოვიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი. იგი მონაწილეობას მიიღებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს XXXVII სესიის სხდომაში.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ი. რიჟკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი, ნ. ვ. მარტინოვი, ნ. ვ. ტალიზინი, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ვ. თ. გარბუზოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. დ. კომაროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. თ. მალცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ო. ა. ჩუკანოვი.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჰ. ა. ალიევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სს

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

შეჯამების დრო

საანგარიშო-საარჩევნო კრებები მნიშვნელოვანი მოვლენაა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. ყოველ საანგარიშო წელს სხვადასხვაგვარია როგორც უკვე განვლილი და ნამოქმედარი, ისე სამრეწველო საკეთებელიც, რადგანაც ყოველ ახალ წელიწადს თავისი პრობლემები, თავისი საფეხურები განსაზღვრული, თავისი ამოცანები მოაქვს. ახალ შინაარს მუშაობის ასლებური ფორმებიც ესაჭიროება. ამ ნიშნით არც წლევანდელი ანგარიშგება-არჩევნებია გამონაკლისი. იმ სიახლეებზე, რომლებიც წელს ახალ მოთხოვნებთან დაკავშირებით იყენებენ მუშაობაში, გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს კომპარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი ა. აზნაუროვი.

— სპკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალების შეხვედრა, პლენუმის გადაწყვეტილებების პრაქტიკული რეალიზაცია ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს ახლანდელ საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა, როცა პირველადი პარტიული ორგანიზაციები სამობავლო ამოცანებს სახავენ. ამ საკითხზე გაამახვილდა ყურადღება პარტიის რაიკომის პლენუმზე. რა მდგომარეობაა ახლა ამ საქმეში?

— ამ პლენუმზე ნათქვამის ერთი ნაწილი უკვე შესრულებულია — კერძოდ, ივნისის პლენუმის მასალები საფუძვლიანად არის შესწავლილი. რაც შეეხება სამობავლო ამოცანების დაგეგმვას, ჩვენი პირველადი ორგანიზაციები თავიანთ საანგარიშო კრებებზე ერთხელ კიდევ დააკონკრეტებენ და დააზუსტებენ თავიანთ სამოქმედო პროგრამას.

რა გვიჩვენა ამ მასალების შესწავლამ? უპირველესად ის, რომ ყველაფერი, როგორც დადებითი მომენტები, ისე ნაკლოვანებები, რომლებზეც საუბარი იყო პლენუმის სპპტიო ტრიბუნიდან, სრულად შეეხება ჩვენს რაიონულ პარტიულ ორგანიზაციას. განსაკუთრებით ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს სოლიდური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მასობრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის, გვყავს მომზადებული იდეოლოგიური კადრები და გვაქვს ამგვარი მუშაობის კარგი გამოცდილება, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებს და იძლევა საჩინო ეკონომიკურ ეფექტს.

— ნათქვამს ციფრებით ხომ ვერ დაგვისურათებთ?

— რატომაც არა. თუნდაც აი, ეს: მეთერმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის სასაქონლო პროდუქციის ზრდის ტემპმა რაიონში 13,1 პროცენტს უნდა მიაღწიოს. ორ წელიწად-ნახევარში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 10,7 პროცენტით (გეგმა 6,3 პროცენტს ითვალისწინებდა), ხოლო შრომის ნაყოფიერება 11,1 პროცენტით (გეგმა 6,9 პროცენტი) გაიზარდა. როგორც ხედავთ, ამ მაჩვენებლების მიხედვით ჩვენ უკვე მივუახლოვდით ხუთწლედის დავალებებს.

— ეკონომიკური ეფექტის განსაზღვრა ადვილია. ის უფრო ხელშესახებია. ციფრი ციფრს შედარდება და პროგრესი თუ რეგრესი აშკარაა. უფრო ძნელია, ალბათ, იდეოლოგიური მუშაობის შედეგების შეფასება. შეფასების რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობთ ამ დროს?

— უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ იდეურ-აღმზრდელობითი, პოლიტიკური, ორგანიზატორული და სამეურნეო საქმიანობის გათიშვა არ შეიძლება. პირიქით, ეს ცნებები უერთმანეთოდ წარმოუდგენელიც კია. აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფისთან ერთად დღენიადაგ უნდა ვიღვწოდეთ მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლებისათვის. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პარტიის პოლიტიკა მასებმა აღიქვან როგორც საკუთარი, თავიანთი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე. აი, როდესაც ამას მივაღწევთ ნამდვილად საქმით და არა ფორმალურად, როდესაც ეს პოლიტიკური შეგნება და შრომითი აქტიურობა ყოველდღიურ საქმიანობაში აისახება კონკრეტულად, როდესაც გვექნება ჯანსაღი ფსიქოლოგიური ატმოსფერო პლუს კარგი საწარმოო მაჩვენებლები, მიზანიც მიღწეულად ჩაითვლება.

არადა, ჯერ ამგვარი ყოფისაგან შორსა ვართ. ჯერ კიდევ ბევრი ნეგატიური, ჩვენი ცხოვრებისათვის მიუღებელი მოვლენა შეინიშნება ჩვენს ირგვლივ— ამგვარი ფაქტების მიმართ ჩვენ ყოველთვის დაურიდებელნი ვიქნებით. არც მათი გამომზიურების შეგვეშინდება. მცდარად მიმაჩნია პოზიცია, როდესაც ხელმძღვანელი მუშაკი საკუთარი მუნდირის გაფრთხილების მიზნით, იმის შიშით, რომ არ გაყვედრონ მისდამი დაკვემდებარებულ ორგანიზაციაში მომხდარი დარღვევა, მალავს, ჩქმალავს მას. ეს უარესია. უფრო მეტიც, ეს დანაშაულის ყველაზე დიდი ხელშეწყობი პირობაა. უკვე მომხდარი გადაცდომის ერთადერთი წამალი მისი მხილება და მაგიერის მიგებაა. აი, როცა ამგვარი უამური საუბრები აღარ გვექნება ბიუროებზე, ვიტყვით, რომ ივნისის პლენუმის მოთხოვნები ძირითადად შესრულებულია.

— ესე იგი მეშმარიტებაა, თუ ვიტყვით, რომ მთელი ჩვენი ორგანიზაციულ-პარტიული და იდეურ-აღმზრდელობითი მოღვაწეობა თავისი სხვადასხვაგვარი ფორმებით, საბოლოო ანგარიშით, ერთ წერტილში იყრის თავს. ეს არის ეკონომიკური ამოცანების რაც შეიძლება წარმატებით გადაწყვეტა.

— ამის დასტური ისევ ივნისის პლენუმზე ნათქვამია: საჭიროა როგორც ეკონომიკური მუშაობის იდეოლოგიური უზრუნველყოფა, ასევე პირუკუ—იდეოლოგიური საქმიანობის ეკონომიკური და სოციალური უზრუნველყოფა.

ამჟამად მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კრებების ძირითადი მიზანიც აქედან გამომდინარეობს. ეს კამპანიაც გამოყენებულ უნდა იქნეს სწორედ ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის პირველადს პარტორგანიზაციათა მუშაობის გაააქტიურებისათვის. ხუთწლედის მესამე წელი მალე დამთავრდება, დაიწყება მისი დამამთავრებელი ეტაპი. ახლა ზუსტად, კონკრეტულად უნდა განისაზღვროს ის ამოცანები, რომელთა რეალიზაციისათვის ბრძოლაც მოუხდებათ პირველადს პარტორგანიზაციებს.

ხშირად კრების დიდ ღირსებად მიიჩნევენ ამ ფაქტორს, რომ ბევრი კომუნისტი ამბობს სიტყვას. ეს კი მხოლოდ კრების ელემენტალური წესია და მეტი არაფერი. ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ თავიანთა ის, თუ რა თქვეს ამ გამომსვლელებმა, როგორი სიღრმით გაუქიდა ესა თუ ის საკითხი, როგორ გაანალიზდა წარსული მუშაობა, რა სიზუსტით მოიხაზა მომავალი საქმიანობის კონტურები და სხვ.

— წლევანდელ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე რა მომენტები მიგაჩნიათ განსაკუთრებით ანგარიშგასაწევად?

— უპირველესად აღსანიშნავია ე. წ. პასიური კომუნისტებთან მუშაობა. ყველამ ვიცით, რამდენი გვყავს, სამწუხაროდ, ისეთები, განურჩევლობის, „რა ჩემი საქმეა“ პოზიცია რომ უკავიათ მყარად.

რაიკომის აპარატის მუშაკები, ხელმძღვანელი ამხანაგები წინასწარ ხვდებიან ამგვარ კომუნისტებს, ესაუბრებიან მათ. ამას პატარა მნიშვნელობა როდი აქვს. ადამიანის გულახდილ საუბარში გამოწვევას ყოველთვის მოაქვს შედეგი.

პარტიულ კრებაზე ყველას გულისთქმა უნდა გამოჩნდეს. არც ავადმყოფი კომუნისტები უნდა დავივიწყოთ. ჩვენი მუშაობა, უწინარესად ხალხთან, ადამიანებთან მუშაობაა, და თუ კაცი რაიმე სენმა საწოლს მიაჯაჭვა, არ უნდა გაიიროყოს თანამოსაქმეებისაგან. ყურადღება, მიკითხვა დადებითს ემოციებს აღუძრავს მას, მხნეობას შეუნარჩუნებს.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ახალგაზრდობის მონაწილეობას კრებებში — ახალი თაობა თვალსა და ხელს შუა დავაქაცდა. ეს ის თაობაა, რომელსაც არა აქვს კლასობრივი ბრძოლების გამოცდილება, საკუთარ თავზე არ გამოუცდია ომის საშინელებანი, უზრუნველ ყოფას არიან მიჩვეულნი. სად უნდა მიიღოს პოლიტიკური წრთობა, თუ არა აქ, პარტიულ ორგანიზაციაში? დაე, ადგეს იგი, თქვას თავისი სათქმელი კრებაზე. ეგრეთ წოდებული შტატიანი ორატორების გამოსვლას ბევრად სჯობს მათი გულწრფელი ნათქვამი.

— ეს რაც შეეხება სიძნელეთა გამოშკარავებას, წინადადებათა დაყენებას. მაგრამ ამასთან მთავარი მათი რეალიზაციაა. სიტყვა ხომ უპირველესად შედეგით ფასდება. ამიტომ მიექცა ამ საკითხს ახე დიდი ყურადღება ივნისის პლენუმზე. თქვენი აზრით, როგორ უნდა მივაღწიოთ, იმას, რომ დაკმაყოფილდეს კომუნისტთა მიერ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე გამოთქმული ყოველი კრიტიკული შენიშვნა, წინადადება?

— რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები საამისოდ ბევრ ფორმას იყენებენ. რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჯამდებოდეს კრებების შედეგები, ამოიკრიბოს იქ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები. სხვათა შორის, რაკი სიტყვამ მოიტანა, შენიშვნების სიმრავლე ცუდი მუშაობის სიმპტომად არ მიგვაჩნია. სწორედ რომ, პირიქით — ეს იმას ნიშნავს, მივაღწიეთ იმგვარი ატმოსფეროს შექმნას, რომელშიც ადამიანებმა გულწრფელად თქვან სათქმელი. ყოველდღიურ საქმიანობაში არსებული ათასი წვრილმანი სწორედ რიგითმა კომუნისტებმა უნდა გამოიტანონ დღის სინათლეზე. ვის რად უნდა სიყალბე, მოჩვენებითობა? იგი ისეთივე დაუძინებელი მტერია ცოცხალი საქმისა, როგორც თვითდამშვიდება, კრიტიკის ჩახშობა და სხვ. დემოკრატია ჩვენი უდიდესი მონაპოვარია. იგი, ერთი მხრივ, მუშაობაში გვეხმარება დიდად, ხოლო, მეორე მხრივ, რწმენას უმტკიცებს ადამიანებს. მაგრამ დავუბრუნდეთ კითხვას— როგორ მივაღწიოთ კრიტიკის ქმედითობას? უპირველესად, როგორც ვთქვი, უნდა გაანალიზდეს წინადადებები, კონკრეტულ პიროვნებას განსაზღვრულ ვადაში დაევალოს მათი რეალიზაცია და ამ ვადის გასვლის შემდეგ მოახსენოს თანამოსაქმეთ, თუ როგორ განხორციელდა ნათქვამი. რაიონის ზოგიერთ საწარმოში სპეციალური სტენდებია მოწყობილი, სადაც გამოკრულია, თუ რა გაკეთდა კრიტიკის შემდეგ.

უთუოდ კარგი პრაქტიკაა ისიც, რომ ყოველ კრებაზე აღინიშნება წინა კრებებზე გამოთქმული შენიშვნების შესრულების მდგომარეობა.

ბევრი რამ არის დამოკიდებული მიმაგრებულ ამხანაგებზე. თუ ისინი კარგად მუშაობენ, მუდმივი კონტაქტი აქვთ იმ ორგანიზაციასთან, რომლებზეც მიმაგრებულნი არიან, კარგად იცნან მათი გასაჭირიც და ლხინიც, თქმა არ უნდა, დიდად ეხმარებიან მათ საჭირბოროტო საკითხების დადებითად გადაჭრაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალი რანგის ხელმძღვანელთა მოწვევას. ერთხელ ნანახი ასჯერ გაგონილს სჯობიაო, დასტურად ერთ მაგალითს მოგახსენებთ: ორ-ორნაკიანის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის „შენებლობის საკითხზე „კომუნისტებმა რამდენჯერმე იმსჯელეს, მაგრამ საქმე მხოლოდ მაშინ დაიძრა მკვდარი წერტილიდან, როდესაც პარტიის კრებაზე მშენებლობის მინისტრი მოიწვიეს და განა მარტო დაიძრა, ისეთი ტემპით მიმდინარეობს ახლა მშენებლობა, რომ ასე მგონია, ვადაზე ადრეც კი გადაეცეს ფაბრიკა საექსპლოატაციოდ.

— როგორც ვხედავთ, კრებაზე გამოთქმული შენიშვნების რეალიზაციის დაწყებისათვის მთლიანად კამპანიის დამთავრებას არ ელით. გზადაგზა სწორდება მუშაობაში ხელშემშლელი ხარვეზები.

— რა თქმა უნდა, კრებების (იგულისხმება პარტჯგუფების, საამქროს და პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები) დამთავრებისთანვე მოდის ჩვენთან საკონტროლო ბარათები, რომლებშიც ადგილებზე გამოთქმული კრიტიკული წინადადებენი შეტანილი. მათზე რეაგირება მაშინვე იწყება. ზემოხსენებული სამკერვალო ფაბრიკის კომუნისტებმა, მაგალითად, თავიანთ ერთ-ერთ პარტჯგუფის კრებაზე რამდენიმე საჭირბოროტო საკითხი დააყენეს. სამქრო ეხებოდა ცვლების დასაწყისში—7 საათზე და 23 საათზე ავტოტრანსპორტით მუშა-მოსამსახურეთა არადამაკმაყოფილებელ მომსახურებას. ისიც ითქვა, რომ გაზიანი წყლის აპარატები ფაქტობრივად გაუქმებული იყო. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალები შრომის ნაყოფიერებაზე უარყოფითად მოქმედებს. დღეს ეს საკითხები უკვე მოგვარებულია.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები მიმდინარეობს. ჯამდება მიღწეული, ისახება კონკრეტული სამოქმედო პროგრამა მომავლისათვის, ირჯებიან ადგილებზე კომუნისტები, ეძებენ სიახლეებს და ყოველი ერთ მიზანს ემსახურება — ვაშენოთ მომავალი.

გ. ხარებავილი.

სანიმუშო ქალაქი — სანიმუშო მომსახურება!

თბილისის საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობა

„ავამაღლოთ ცხოვრების დონე“ — ეს გახლავთ... ჯანსაღი, რაციონალური კვება, ეს გახლავთ მოსახლეობის მომსახურების მაღალი ხარისხი... სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის იანვისის პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ გამოთქმული ეს დებულება საფუძვლად დაედო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში შემუშავებულ გეგმებს. ეს გეგმები, რომლებიც მიზნად ისახავს დედაქალაქის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, წარდგენილი იყო განსახილველად თბილისის მეთვრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მეშვიდე სესიაზე.

აღინიშნა რა დადებითი ძვრები ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში, მომხსენებელმა — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. სარალიძემ ყურადღება მიაპყრო სახალხო მეურნეობის ამ დარგებში არსებულ ნაკლოვანებებს. ქალაქის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები ვერ ასრულებენ ასორტიმენტის მიხედვით სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმას.

არადამაკმაყოფილებელია დედაქალაქის მოსახლეობის ხილითა და ბოსტნეულით მომარაგება. შეიმჩნევა სავაჭრო ქსელში ურიტმო, ხშირად კი უხარისხო პროდუქციის მიწოდების ფაქტები.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა დეპუტატებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად. საჭიროა განხორციელდეს გადაუდებელი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება სანიმუშო დარგები გახდეს.

სესიამ განიხილა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1983 წლის იანვარ-სექტემბრის მუშაობის ანგარიში.

თბილისის საქალაქო საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის მუდმივი კომისიის მუშაობის ანგარიში გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ მ. გოჩალეიშვილმა.

განხილული საკითხების გამო სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ხაბეიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

(საქინფორმი).

დაარჩარეთ წარმოების ტემპი!

რესპუბლიკის მრეწველობის მიერ ძირითადი მაჩვენებლების მიღწევის გეგმის შესრულება 1983 წლის იანვარ-სექტემბერში

	პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების პროცენტი	სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების პროცენტი	1983 წ. იანვარ-სექტემბერი 1982 წლის იანვარ-სექტემბერთან შედარებით პროცენტ-ობით		ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა პროდუქციის საერთო მოცულობაში	პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება დამზადებათა ვალდებულებებით.
			წარმოების ცალკეთ	შრომის ნაყოფიერებით		
სულ						
რესპუბლიკაში	101,8	102,4	105,6	104,4	15,0	97,4
აფხაზეთის ასსრ	103,1	103,5	105,6	104,6	4,2	95,6
აჭარის ასსრ	101,4	102,6	108,2	102,4	25,0	96,1
სამხრეთ ოსეთის აო	102,7	105,8	114,2	109,7	18,5	97,2
ქალაქები:						
თბილისი	101,6	102,8	108,7	108,4	17,0	98,7
ქუთაისი	102,6	102,0	103,1	103,2	34,8	97,0
ფოთი	108,1	114,8	111,3	109,9	10,2	98,9
ჭიათურა	102,3	103,4	103,3	101,5	43,3	98,6
რუსთავი	97,3	96,9	107,0	105,9	21,7	87,4
გორი	100,6	101,4	106,7	107,0	24,0	96,5
ტყიბული	100,95	103,6	101,1	103,4	6,2	95,9
ზუგდიდი	103,4	105,4	105,4	103,7	7,2	99,4
წყალტუბო	104,4	103,8	119,1	111,6	7,9	99,1
მარნეული	100,7	102,1	105,6	102,2	6,7	98,5
რაიონები:						
აბაშის	104,7	104,3	107,4	103,6	0,5	94,4
ადიგენის	100,0	105,1	129,9	120,2	—	—
ამბროლაურის	102,3	100,6	94,8	98,8	2,2	100,0
ასპინძის	101,4	101,3	93,6	104,4	—	—
ახალქალაქის	105,1	103,3	108,2	107,0	13,1	83,8
ახალციხის	101,9	104,2	105,3	107,6	—	96,4
ახმეტის	106,5	105,6	62,7	61,0	5,3	99,6
ბოგდანოვკის	109,0	105,1	108,8	108,4	0,8	87,3
ბოლნისის	102,5	105,6	97,0	99,9	2,9	71,3
ბორჯომის	96,8	101,5	106,7	104,1	7,6	84,7
ვანის	123,4	106,4	90,1	90,5	—	91,3
გარდაბნის	98,4	101,9	107,2	108,7	0,4	93,0
გეგეჭკორის	103,9	104,9	112,5	104,7	0,2	88,8
გორის	104,1	106,0	103,6	101,7	1,2	99,7
გურჯაანის	104,3	102,3	77,9	72,6	0,2	99,1
დმანისის	96,0	102,0	174,7	147,9	—	100,0
დუშეთის	115,5	123,0	86,0	85,0	16,4	100,0
ზესტაფონის	103,7	103,6	98,4	98,0	33,5	98,5
ზუგდიდის	100,8	101,4	140,8	124,2	—	100,0
ყაზბეგის	99,2	116,4	111,9	111,3	14,8	99,0
ქარელის	102,9	105,9	102,5	101,5	0,03	96,0
ლაგოდეხის	101,5	101,6	101,7	103,3	20,3	95,2
ყვარლის	110,8	106,5	83,3	86,5	—	60,2
ლაგოდეხის	104,9	103,8	113,8	110,2	0,4	96,5
ლანჩხუთის	101,8	102,9	106,0	105,4	0,5	100,0
ლენტეხის	102,1	101,8	101,2	100,4	8,7	100,0
მარნეულის	106,9	104,2	90,2	95,0	2,2	100,0
მახარაძის	102,0	102,5	106,8	104,7	2,2	96,9
მაიაკოვსკის	105,8	105,0	104,0	104,6	3,9	96,6
მესტიის	100,1	103,4	125,8	142,0	6,8	—
მცხეთის	102,1	103,2	93,9	93,9	6,9	90,6
ონის	94,9	100,6	92,1	96,0	38,2	96,0
ორჯონიკიძის	101,3	104,9	84,7	89,6	27,4	98,6
საგარეჯოს	101,7	103,2	117,6	116,0	1,6	67,5
სამტრედიის	102,3	103,6	105,6	106,2	6,5	95,5
საჩხერის	100,8	103,7	138,7	141,4	0,3	87,6
სიღნაღის	107,3	100,2	96,7	95,0	8,5	96,0
თელავის	105,6	102,5	91,0	88,7	5,6	92,2
თერჯოლის	103,5	104,0	91,5	90,0	2,2	95,2
თეთრი წყაროს	107,7	112,4	109,5	96,0	2,8	95,0
თიანეთის	100,7	104,4	134,9	138,1	—	100,0
ხაშურის	101,3	101,7	102,3	103,7	24,1	96,8
ხობის	104,7	104,7	109,8	100,6	—	98,1
ცაგერის	105,8	108,5	144,7	136,9	—	100,0
წალენჯიხის	103,7	102,8	105,3	102,5	0,3	93,8
წალკის	106,0	105,6	65,8	62,9	—	100,0
წითელწყაროს	107,5	102,3	154,9	228,0	—	100,0
წულუკიძის	102,6	102,0	110,7	111,9	0,5	99,8
ცხაკაიის	95,7	100,1	96,5	90,4	2,0	77,3
ჩოხატაურის	104,4	105,1	98,0	102,0	0,3	100,0
ჩხოროწყუს	107,5	105,4	125,3	103,2	—	98,4

როგორც ცხრილიდან ჩანს, სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის გეგმები იანვარ-სექტემბერში შეასრულა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების დიდმა უმრავლესობამ, გარდა ქალაქ რუსთავისა, ბორჯომის, გარდაბნის, დმანისის, ყაზბეგის, ონის, ცხაკაიას რაიონებისა.

სახალხო პროდუქციის წარმოების გეგმები შეასრულეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის აო, რესპუბლიკის ქალაქებმა და რაიონებმა, ქალაქ რუსთავის გარდა.

მარწყვნელ იანვარ-სექტემბერთან შედარებით შეამცირეს წარმოების მოცულობა ამბროლაურის, ახპინძის, ახმეტის, ბოლნისის; ვანის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ყვარლის, მარნეულის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, თელავის, თერჯოლის, წალკის, ცხაკაიას, ჩოხატაურის რაიონის საწარმოებმა.

შრომის ნაყოფიერების ზრდაში ჩამორჩნენ ამბროლაურის, ახმეტის, ბოლნისის, ვანის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ყვარლის, მარნეულის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, თელავის, თერჯოლის, თეთრი წყაროს, წალკის, ცხაკაიას რაიონები.

ადიგენის, ახპინძის, ახალციხის, ვანის, დმანისის, ზუგდიდის, ყვარლის, თიანეთის, ხობის, ცაგერის, წითელწყაროს, ჩხოროწყუს რაიონების საწარმოები საერთოდ არ აწარმოებენ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციას.

ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გეგეჭკორის, ყვარლის, საგარეჯოს, საჩხერის, ცხაკაიის რაიონების, ქალაქ რუსთავის საწარმოებში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა გაცილებით დაბალია დამზადებათა ვალდებულებების შესრულებასთან შედარებით.

(საქინფორმი).

ბოჭკოვანი ოპტიკა პროგრესის სამსახურში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ბოჭკოვანი ოპტიკის განყოფილების თანამშრომლებს სწორედ იმ დროს ვეწვიეთ, როცა უჩვეულო საქმეს აკეთებდნენ — კიდევ ერთხელ ამოწმებდნენ ბოჭკოვანი ოპტიკის საფუძველზე შექმნილ ხელსაწყოს, სანამ გაგზავნიდნენ მოსკოვში — შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ მუზეუმში.

საქმე ის გახლავთ, რომ ამას წინათ ინსტიტუტის დირექციის სახელზე მიიღეს წერილი, რომელშიც სთხოვდნენ მუზეუმის ექსპოზიციისათვის გაეგზავნათ ბოჭკოვანი ოპტიკის დარგის ნამუშევრები.

მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმი ჩვენი ქვეყნის უდიდესი ცენტრია, რომელიც აგროვებს, სწავლობს და ინახავს მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის ძეგლებს, ავრეთვე პროპაგანდას უწევს მეცნიერებისა და მრეწველობის დარგის უკანასკნელ მიღწევებს. ამ მიზნით მუზეუმში გახსნილია ჰოლოგრაფიის, ბოჭკოვანი ოპტიკის, კვანტური ელექტრონიკის, კოსმონავტიკისა და სხვა მუდმივი ექსპოზიციები.

ბოჭკოვანი ოპტიკის დარგში კვლევა-ძიებითი სამუშაოები განყოფილების თანამშრომლებმა

ქართველ მეცნიერთა ნამუშევარი მოსკოვის პოლიტექნიკურ მუზეუმში

ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს ჯერ კიდევ 1961 წელს.

რას უწოდებენ ოპტიკურ ბოჭკოს? — ასე უწოდებენ ბოჭკოს, რომელიც შედგება ღეროსა და გარსისაგან, ამასთან ღეროს მასალის გარდატეხის კოეფიციენტი მეტი უნდა იყოს გარსის მასალის გარდატეხის კოეფიციენტზე. თუ ბოჭკოს წშინდა, სწორი და გაუჭყიანებისაგან დაცული ზედაპირი აქვს, ერთ ბოჭკოს მხარეს გარკვეული კუთხით შემავალი სინათლე მთელ ბოჭკოზე ვრცელდება სრული შინაგანი არეკვლის მეშვეობით და მეორე მხარეს თითქმის უდანაკარგოდ გამოდის. ლინზური ოპტიკისაგან განსხვავებით, სადაც ოპტიკური გარემო აყალიბებს გამოსახულებას, ბოჭკოვან ოპტიკაში ოპტიკური გარემო მხოლოდ მის გადატანაში მონაწილეობს, გადაცემის ოპტიკურ ხაზს წარმოადგენს. ამასთან იგი სინათლის მიმართ იმავე ფუნქციას ასრულებს, რომელსაც ლითონის სადენები ასრულებენ ელექტროდენის მიმართ.

ძალზე ბევრი და მრავალფეროვანია ბოჭკოვანი დეტალები, რომლებიც მრავალმხრივ გამოყენებას პოულობენ სახალხო მეურნეობაში: პაწაწინა ნემსები ცოცხალი უჯრედის ბირთვის ელემენტების შუქგამტარი მიკრონემსისათვის, მოქნილი ჩალიჩი სამედიცინო და ტექნიკური ენდოსკოპებისათვის, ხისტი შუქსადენები კონტაქტური ლუმინესენციური მიკროსკოპიისათვის, ბოჭკოების ურთიერთი ხლართების გარდამქმნელები და გამოსათვლელი მანქანების სალოგიკო ელემენტები. იგი შეუცვლელი მასალა გახდა რადიოელექტრონიკაში, ტელევიზიაში, ტექნიკურ კიბერნეტიკასა და მედიცინაში. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და პერსპექტიულია შუქსადენების გამოყენება მედიცინაში. დიდი მოქნილობა და მანევრირების უნარი საშუალებას იძლევა გამოიყენონ ისინი სხვადასხვა შინაგანი ორგანოს ვიზუალური გამოკვლევისათვის სინათლის, კინო და სატელევიზიო აპარატურასთან უშუალო ხედვის ოკულარის შეერთება მედიკოსებს საშუალებას აძლევს მიიღონ მუდმივი ინფორმაცია, რაც მათ უდავოდ დიდად ეხმარება.

მედიცინისათვის ბოჭკოვანი ოპტიკის უმნიშვნელოვანესი ღირსებაა ისიც, რომ ბოჭკო ცივ სინათლეს იძლევა, ასე რომ, როგორც პაციენტი, ისე ექიმი არ გრძნობენ უსიამოვნო სითბოს ეფექტს. აი ასეთი გახლავთ მოკლე და დაახლოებითი ნუსხა მეცნიერებასა და მედიცინაში ბოჭკოვანი ოპტიკის გამოყენებისა.

და ბოლოს, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ინსტიტუტის ამ განყოფილების ზოგიერთ ნამუშევარს უკვე დიდი ხანია იყენებენ როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მთელ ჩვენს ქვეყანაში. მაგალითად, მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითსა და საპროექტო საკონსტრუქტორო ინსტიტუტში, ფიზიკური გაზომვების საკავშირო-სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტში, თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში, წულუკიძის სახელობის უროლოგიის ინსტიტუტში და სხვ.

სურათზე: ბოჭკოვანი ოპტიკის განყოფილების თანამშრომლები (მარცხნიდან), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლ. ხელაია, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, განყოფილების გამგე ხ. გაფრინდაშვილი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ჯ. ნაკაიძე, ჯგუფის ხელმძღვანელი ა. ცაცუროვი და უფროსი ინჟინერი ზ. გიორგაძე პოლიტექნიკურ მუზეუმში გასაგზავნი ექსპონატების შემოწმებისას.

ფ. კრიმსკი.
ავტორის ფოტო.

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

სამშენებლო ინდუსტრიის ნედლეულის ბაზის დროული მომზადება, რეზერვებისა და საწარმოო სიმძლავრეების ათვისება საქართველოს მშენებლობის სამინისტროს განვითარების, მისი ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრელი ხდება. დღეისათვის დასახულია მრავალი კონკრეტული ღონისძიება, რომელთა განხორციელება უთუოდ შეუწყობს ხელს დარგის განვითარებას. მათ შორის გახლავთ პროგრესული საშენ მასალათა ათვისება, უნარჩენო ტექნოლოგიების ფართო მასშტაბით დანერგვა. ლაპარაკია საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას, ლითონისა და ცემენტის დანაკარგების შემცირებას.

უკვე განისაზღვრა ამ სამუშაოთა ერთ

19 ოქტომბერი

ულტიმატუმი

ფაქტები
მოვლენები

საკლესიო
იუწყება

არ დავუშვათ ბირთვული კატასტროფა

— სსრ კავშირში ყოფნამ, უშუალო ურთიერთობამ საბჭოთა ადამიანებთან დაგვარწმუნა, რომ ისინი ისწრაფვიან არ დაუშვან ომი, ყველაფერი იღონონ ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან ინტერვიუში ბელგიის შრომის საყოველთაო ფედერაციის ეროვნულმა მდივანმა ჟორე დერიგმა. იგი ფედერაციის რეგიონული განყოფილების თავმჯდომარესთან ანრი ანდრისთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირში საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით. მოსკოვში სტუმრები მიიღო საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ს. ა. შალაევმა. ისინი რამდენიმე დღის მანძილზე ეცნობოდნენ საქართველოს.

— ჩვენი ორმხრივი მისწრაფება მშვიდობისადმი, — თქვა შემდეგ ჟ. დერიგმა, —ნათლად გამოვლინდა თქვენი რესპუბლიკის საწარმო-ორგანიზაციებში ყოფნისას. ჩვენ ვილაშქრებთ ბელგიის ტერიტორიაზე ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების განლაგების წინააღმდეგ. ამას საჯაროდ განაცხადებენ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მონაწილენი, რომლებიც 23 ოქტომბერს მართავენ მანიფესტაციას ბრიუსელში.

— საბჭოთა პროფკავშირების გამოცდილების გაცნობამ, თქვა შემდეგ ჟ. დერიგმა, —შესაძლებლობა მოგვცა შეგვეფასებინა მათი მონაწილეობა სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში, კერძოდ, შრომის დაცვისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ბელგიელი პროფკავშირული მოღვაწენი მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. გურგენიძემ სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის სოციალურ მეურნეობის განვითარებას, საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, მისი მუდმივი კომისიების სტრუქტურა და საქმიანობა, უპასუხა შეკითხვებზე.

საქმიანი, დაინტერესებული სხა-ბაასი გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოში. პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი სტუმრებს ესაუბრა საქართველოს კონსტიტუციის პროფესიული კავშირებისათვის მინიჭებული უფლებების შესახებ, გააცნო, თუ რა მონაწილეობას იღებენ მშრომელები წარმოების მართვაში, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში, უპასუხა სტუმრების შეკითხვებზე.

ბელგიის წარმომადგენლებმა მადლობა გადაიხადეს საქართველოში გაწეული გულითადი მასპინძლობისათვის, გამოთქვეს რწმენა, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ბელგიის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

სტუმრები იყვნენ საქართველოს პროფკავშირების კულტურის სასახლეში, იმოგზაურეს მცხეთაში.

გადაადგილებანი რეიგანის ადმინისტრაციაში

ვაშინგტონი. რ. რეიგანმა გამოაცხადა, რომ ეროვნული უშიშროების დარგში თავის ახალ თანაშემწედ დანიშნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში რ. მაკფარლეინი. იგი ამ პოსტზე შეცვლის უ. კლარკს, რომელიც ამ დღეებში დანიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად ჯ. უოტის ადგილზე, ეს უკანასკნელი იძულებული იყო გადადგომოდა.

ადმინისტრაციის „საგარეო-პოლიტიკურ გუნდში“ მორიგი ცვლილებების შესახებ პრესის პირველი განმარტებების არსი ის არის, რომ ახალი დანიშვნები თეთრი სახლის აგრესიულ მილიტარისტულ ყურსში არავითარ ცვლილებებს არ გამოიწვევს, მოხდა მხოლოდ ერთი რეაქციონერისა და „ქორის“ შეცვლა მეორით. მაკფარლეინი, აღნიშნავს ყოველკვირეული „ტაიმი“, — „კონსერვატიული რწმენის კადრის სამხედრო მოსამსახურეა“, რომელიც სსრ კავშირის მიმართ „მკაცრი პოზიციის“ მომხრეა. სი-ბი-ესის ტელეკომპანია ხაზს უსვამს, რომ მაკფარლეინი მხარს უჭერს „ძლიერ ამერიკას და მშვიდობის პოლიტიკის განხორციელებას ძალის პოზიციიდან“. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ ასევე წერს, რომ მაკფარლეინი „მთლიანად იზიარებს პრეზიდენტის შეხედულებებს“. ვაშინგტონის საგარეო პოზიციის გონივრული აზრისა და საერთაშორისო ცხოვრების რეალიებს ფხიზელი გათვალისწინების ყოველგვარი შესაძლებლობა ფაქტობრივად გამორიცხა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ლ. სპიკსმა, რომელმაც გაზეთ „ბოსტონ გლობისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: — „ეროვნული უშიშროების დარგში თანაშემწის შეცვლის შედეგად ამერიკის საგარეო პოლიტიკაში არავითარი ცვლილებები არ მოხდება. ისევე, როგორც შისი წინამორბედები, იგი იმუშავებს პრეზიდენტ რეიგანის უშუალო ხელმძღვანელობით.

პრესა აღნიშნავს, რომ რეიგანის ადმინისტრაციის დროს გადაადგილებებმა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკურ აპარატში უპრეცედენტო ხასიათი შეიძინეს. თეთრ სახლში არასრული სამი წლის ყოფნის პერიოდში რეიგანმა მოასწრო შეეცვალა სახელმწიფო მდივანი და ორი თანაშემწე ეროვნული უშიშროების დარგში. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ ამას ფასავს, როგორც იმის დადასტურებას, რომ „პრეზიდენტი საერთოდ საგარეო პოლიტიკას აგდებით ეკიდება“, რაც გაზეთის აზრით აკვირვებს და აფიქრებს ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებს. ყოველკვირეული „ტაიმი“ თავის მხრივ დასტურებს: ახალი გადაადგილებანი თეთრ სახლში ხაზს უსვამს იმას, რომ „რეიგანის მთავრობას უნარი არ შეუწევს შექმნას ეფექტიანი საგარეო-პოლიტიკური აპარატი და მოაგვაროს მისი მუშაობა“. რეიგანმა „აქამდე ვერ შეძლო შეედგინა ისეთი „საგარეო-პოლიტიკური გუნდი“, რომელიც რამდენიმე თვეზე მეტ ხანს „შეუფერხებლად იმუშავებდა“, წერს ჟურნალი.

გულწრფელი მოწონება, აღიარება

საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და პრესის დიდ უურადღებას იპყრობს დებულებები და დასკვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში. როგორც თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი სხვადასხვა ქვეყნის პრესის ორგანოები აღნიშნავენ, ეს დოკუმენტი გამსჭვალულია გულწრფელი ზრუნვით კაცობრიობის ბედისათვის და ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უველაფერი იღონოს, რათა მსოფლიოს თავიდან აიცილოს ბირთვული ომი, ამასთან ხაზს უსვამენ, რომ სსრ კავშირი ერთგულია მშვიდობის საქმისადმი, პრინციპული და კონსტრუქციულია მისი პოლიტიკა, მნიშვნელოვანია მისი სამშვიდობო ინიციატივები.

ი. ვ. ანდროპოვის განცხადება კვლავ დამაჯერებლად ადასტურებს, რომ თანამიმდევრულია საბჭოთა კავშირის სამშვიდობო კურსი, განაცხადა „კომერსანტის“ სახალხო-რევოლუციური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა, კამბუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰუნ სენმა. სსრ კავშირის პოლიტიკის მიზანია მტკიცე მშვიდობის მიღწევა, ბირთვული ომის საფრთხის ლიკვიდაცია, რომელსაც ქმნის ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის აგრესიული ავანტიურისტული კურსი. კამბუჩიის ხალხი და ჩვენი ქვეყნის მთავრობა მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, სსრ კავშირთან ერთად იბრძვიან ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომის კომუნიკე, წერს ჩეხოსლოვაკიური „რუდე პრავო“, გამსჭვალულია გულწრფელი მშვიდობისმოყვარეობით, სოციალისტური ქვეყნების მტკიცე გადაწყვეტილებით — თავიდან აიცილონ ბირთვული კატასტროფის საფრთხე. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს ძოუწოდეს ხელი აიღონ დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ახალი ბირთვული რაკეტების განლაგებაზე, განაგრძონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ ახლანდელი საერთაშორისო ვითარების გაუსაღებესებისათვის.

საესებით ცხადია, რომ, როცა ცდილობს დასავლეთ ევროპაში განალაგოს ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები, რეიგანის ადმინისტრაცია ქმნის საშიშ სიტუაციას, განაცხადა ქალაქ ბერკლის (კალიფორნიის შტატი) მერმა, ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის საბჭოს თანათავმჯდომარემ ი. ნიუპორტმა.

თუ განალაგებენ ამერიკულ რაკეტებს, საბჭოთა კავშირს არ ეკნება სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ განახორციელოს საპასუხო ღონისძიებანი. რეიგანის ადმინისტრაცია აშკარად უწევს საბოტაჟს ყოველ ცდას შეჩერდეს რაკეტულ-ბირთვული პოტენციალების ზრდის პროცესი, რომელიც ხთავს ამერიკის შეერთებული შტატების კოლოსალურ ეროვნულ რესურსებს. და ეს ხდება მაშინ, როცა ქვეყანაში არის მილიონობით უმუშევარი, ათმილიონობით მშიერი და ღატაკი, როცა ქვეითდება ჩვენი ქალაქები, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების სისტემები. ამ პოლიტიკას გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ფართო ფენები. მთლიანად ვეთანხმები საერთაშორისო ვითარების შეფასებას, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაშია მოცემული. ახლა განსაკუთრებით გვჭირდება დიალოგი, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების აღორძინება.

ი. ვ. ანდროპოვის განცხადება გვიჩვენებს, თუ რაოდენ საშიშია ამჟამად შექმნილი საერთაშორისო ვითარება, თქვა დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ **დ. არენსმა,** მასში გაშუქებულია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ხამდვილი არსი, რომლის მიზანია მოსპოს საერთაშორისო ურთიერთობის შემქმნელი სტრუქტურა და შეცვალოს იგი სუვერენულ სახელმწიფოებსა და ხალხებზე ზეგავლენის პრაქტიკით. „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საფრთხეს შეუქმნის საბჭოთა კავშირს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიიდან და მკვეთრად გააუარესებს ვითარებას ევროპაშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

ქართველი მხატვრის გამოფენა

ბელგრადი. ძველი ქართული ჭედურობის ხელოვნება, რომელიც აღორძინა ცნობილმა თბილისელმა მხატვარმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ირაკლი ოჩიაურმა, წარმოდგენილია მისი ნამუშევრების გამოფენაზე, რომელიც იუგოსლავიის დედაქალაქში გაიხსნა.

ი. ოჩიაურის ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი სიცოცხლით და ტემპერამენტით აღსავსე კომპოზიციები, ბელგრადის ხელოვნების მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს. ოსტატის ნაწარმოებებში გაცოცხლებულია სახეთა მთელი გალერეა, რომლებიც წარმოიჩენენ ადამიანის შინაგან სამყაროს. ლითონში გაცოცხლებული მგზნებარე მოცეკვავეები და ღრმად ჩაფიქრებული ბრძენი მოაზროვნენი, პოეტთა შთაგონებული სახეები და მამაცი მეომრები — ყველა ეს ნამუშევარი გამოფენის მრავალრიცხოვან დამთვალიერებელს აცნობს ნიჭიერი ხალხის მდიდარ ისტორიასა და კულტურას, მხატვრის მაღალ ოსტატობას.

ფოტო-ქალეიდოსკოპი

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა. 100 წლის იუბილე გადაიხადა ახლახან ტოკაიელმა შანდორ სმარაგლაიმ. მთელი ცხოვრების მანძილზე მემდინარეა იგი და თავისი დაბადების დღესაც მოხარული იყო, რომ ყველას თვალწინ ოსტატურად წაიყვანა ტისაზე ბარეკა. (სურათზე).

მტი-საკდესის ფოტო.



ბერლინი. უცნაური ხაზები დატოვა ცაში ელვის ზიგზაგებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში ჰეკა-ჭუზნელის დროს (სურათზე). ხანგრძლივი ექსპოზიციის შედეგად აღიბეჭდა ეს ლამზი პანორამა, რომელიც ბუნების ილუზიამ შექმნა.

ასოშიეიტედ პრეს-საკდესის ტელეფოტო.

კოლონეთის სახალხო რესპუბლიკა. ეშვიათი „ნანდირეკი“ ხვდა წილად ოპოლელ ტადეუშ გრუშკის. მშობლიური ქალაქის მიდამოებში მან იპოვა ეს ორი გოლიათი სოკო (სურათზე).

ცაფ-საკდესის ტელეფოტო.



ტოკიოს ზოოპარკის „უენოს“ ბინადარი — გალაპაგოსის კუნძულებიდან ჩამოყვანილი გიგანტური კუ შეაწუხა სიმსუქნემ. 143 კილოგრამმა ცოცხალმა წონამ საგრძნობლად შეუშალა მას ხელი შარშან, რათა გაეარა 250 მეტრი მანძილი თავისი „ზამთრის აპარტამენტებიდან“ ზაფხულის აუზამდე. ვეტერინართა გადაწყვეტილება ულმობელი იყო: დაესვათ ტორტილა მკაცრ დიეტაზე — კარტოფილი ბალახით შეუცვალეს. ერთ წელიწადს იშიმშილა კუმ და 20 კილოგრამი დაიკლო. ამოდა, წლევანდელ სეზონში იგივე დისტანცია სულ 1 საათსა და 5 წუთში გაიარა, რითაც თითქმის ათი წუთით აჯობა ყველა წინანდელ „რეკორდს“.

სურათზე: „მარათონელი“ დისტანციაზე საზამთროთი იკრებს ძალებს.

კიოდო-საკდესის ფოტო.

გაუქმდა აკრძალვა

კოლომბო. შრი ლანკის მთავრობის გადაწყვეტილებით გაუქმდა აკრძალვა ქვეყნის კომუნისტური პარტიის საქმიანობისადმი.

ხელისუფლებამ, როგორც ცნობილია აკრძალეს კომპარტიის საქმიანობა და ცდილობდნენ მისთვის გადაებრალებინათ ამ არეულობის წარმოშობა, ამავე დროს დააპატიმრეს შრი ლანკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი კ. პ. სილვა და მისი ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელი. კომუნისტთა მიმართ ყალბრალდებების წინააღმდეგ საზოგადოებრიობის ფართო გამოსვლებმა ქვეყანაში მთავრობას შეაცვლევინა თავისი გადაწყვეტილება: გაეთავისუფლებინა საპატიმროდან კ. პ. სილვა და შრი ლანკის კომპარტიის სხვა მოღვაწენი.

● ლიბანი

დამპყრობთა თარეში

ბეირუთი. ლიბანში მოკალათებულმა ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მეორედ დაუშინეს მახირებული ცეცხლი დედაქალაქის საცხოვრებელ უბნებსა და მის გარშემო მდებარე მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს. სამოქალაქო მოსახლეობაში დახოცილთა და დაჭრილთა საერთო რიცხვმა ოცს გადააჭარბა. ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში მიიჩნიათ, რომ ამერიკელ ინტერვენტთა და ისრაელის მხედრობის პროვოკაციული მოქმედების მიზანია შეაფერხოს ლიბანში მოწინააღმდეგე მხარეთა შორის ეროვნული თანხმობის მიღწევა: მიუხედავად ამისა, რომ ძალაშია ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება. თემთა შორის საფუძველზე გააფთრებული შეტაკებანი მოხდა ბეირუთის ზოგიერთ უბანში და ჰარუბის რაიონში.

ისრაელ ოკუპანტთა აღვირახსნილი ტერორის წინააღმდეგ, ლიბანის ტერიტორიიდან აგრესორის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა-რობო გაყვანისათვის მასობრივი გამოსვლები იმართება ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. მრავალათასიანი მანიფესტაცია და მიტინგი მოეწყო ქალაქ ნაბათიეში. დემონსტრანტები გაიძახოდნენ ისრაელის საწინააღმდეგო ლოზუნგებს, მოითხოვდნენ სიონისტთა დილეგებში მყოფ ტუსაღთა განთავისუფლებას. მათ შეავსეს ქალაქის ცენტრალური მოედანი. შეკრებილთა გასაფანტავად ისრაელის სარდლობამ გამოიყენა არმიის ქვეგანაყოფები.

ჯარისკაცები სასტიკად გაუსწორდნენ მანიფესტანტებს, ავტომატების ცეცხლი დაუშინეს უიარაღო ლიბანელებს. დაიჭრა ათზე მეტი კაცი, მათ შორის ქალები. ამის პასუხად მანიფესტაციის მონაწილეებმა დამსჯელებს ქვა დაუშინეს და დაწვეს ისრაელთა რამდენიმე სამხედრო მანქანა. ნაბათიის რაიონში გაიგზავნა მაშველი ძალები, რომლებმაც ჩაკეტეს ქალაქის ყველა მისადგომი, დაწესდა კომენდატის საათი, მომდინარეობს მასობრივი დაპატიმრება.

● აშშ

მშვიდობის საბჭოს ყრილობა

ჩიკაგო. აქ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის საბჭოს — ბირთვული კონფლიქტის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ეფექტიანი განიარაღებისათვის მებრძოლი ერთერთი ყველაზე ავტორიტეტიანი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მესამე ყრილობა. ორი დღის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა რაიონის ახობით წარმომადგენელი განიხილავდა მშვიდობისათვის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის ერთიან ფრონტად შეკავშირებული მშვიდობისმოყვარე ძალების მოძრაობის გააქტიურების პრაქტიკულ საკითხებს.

ფორუმის მიერ მიღებული რეზოლუცია შეიცავს მტკიცე პროტესტს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს იმ სამხედროგეგმების წინააღმდეგ, რომ დასავლეთ ევროპაში განალაგონ საშუალო სიშორის ამერიკული ბირთვული რაკეტები. ამერიკის საზოგადოებრიობას, ხაზგასმულია დოკუმენტში, არ უნდა დაუშვას ამ რაკეტების განლაგება, მიაღწიოს ევნევის მოლაპარაკების განგრძობას. ყრილობის მონაწილეებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს რეიგანის ადმინისტრაციის მილიტარისტული პოლიტიკა, რომელსაც მსოფლიო ბირთვული ტრაგედიის უფსკრულისაკენ მიჰყავს. მათ აღნიშნეს, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებია უგუნური გამალებული შეიარაღების ინიციატორი: მან პირველმა შექმნა ბირთვული და წყალბადის ბომბები, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, რაკეტები, რომელთა ქობინები რამდენიმე ნაწილად იყოფა, და სხვა სახეობის იარაღი.

ამერიკის ხელისუფლებამ ყველაფერი იღონეს, რათა ხელი შეუშალონ ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობისმოყვარე ძალების ფორუმის მუშაობას. ფორმალური საბაბით სახელმწიფო დეპარტამენტმა ქვეყანაში შემოსვლის ნებართვა არ მისცა იტალიის ყოფილ სენატორს, ომისწინააღმდეგო მოძრაობის აქტივისტს ნინო პასტისა და ნიკარაგუის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ოლღა ავილეს ლოპეზს. არსებითად ჩიკაგოში გამგზავრების უფლებაზე უარი უთხრეს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მუდმივ მეთვალყურეს ზ. ლ. ტერაზის. მაგრამ ეს ხრიკები სასურველ შედეგს როდი იძლევა. სრულიად ნათელია, ხაზი გაუსვა ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის საბჭოს თანათავმჯდომარემ მარკ სოლომონმა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ძალები იმარჯვებენ ადამიანთა ვონებისა და გულისათვის ბრძოლაში.

ტერორი გრძელდება

ბუენოს-აირესი. ცდილობენ რა ყოველნაირად ჩაახშონ პინოჩეტის ხაძულველი დიქტატურის წინააღმდეგ ხალხის მასების გამოსვლები, ჩილეს ხელისუფალნი აძლიერებენ ტერორს. როგორც ჩილეს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია იუწყება, წლის დასაწყისიდან ქვეყანაში დააპატიმრეს შვიდი ათასზე მეტი პატიმარი. გახშირდა მკვლელობა და მოტაცება პოლიტიკური მოტივებით.

რეპრესიების წინააღმდეგ პროტესტებს აცხადებს ჩილეს სხვადასხვა პოლიტიკური, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაცია. ჩილეს კათოლიკური ეკლესიის აქ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ეროვნული პროტესტის დღეების დროს სახალხო გამოსვლების გაფანტვისას დახოცეს ორმოცდაათზე მეტი კაცი, ასობით მანიფესტანტი სერიოზულად დაშავდა. გადაჭრით აცხადებენ რა პროტესტს ტერორის წინააღმდეგ, ჩილელმა მღვდლებმა ხელისუფალთაგან მოითხოვეს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ვანდალიზმის აქტები პინოჩეტის არმიამ, პოლიციამ და საიდუმლო პოლიციამ.

ჩილეს პროფკავშირთა ეროვნულმა საკოორდინაციო ცენტრმა თავის მხრივ განაცხადა, რომ ყოველად გაუმართლებელია ხალხის წინააღმდეგ რეჟიმის მიერ გაჩაღებული რეპრესიები და მოუწოდა მშრომელებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მთავრობის საწინააღმდეგო საერთო-ეროვნულ მანიფესტაციაში, რომელიც 27 ოქტომბრისთვისაა გათვალისწინებული.

მაუნდერ ალენ-ბოლდუინ

ჟენევა. ოქტომბრის დასაწყისში ჟენევაში ჩავიდა ბელგიელ ეკლესიის ეპისკოპოსი ალენ-ბოლდუინ. ეს ეპისკოპოსი ბელგიელ ეკლესიის ეპისკოპოსთა ერთ-ერთ ჯგუფს ხელმძღვანელობს, ეს ჯგუფი ეკლესიის ეპისკოპოსთა ევროპის ერთ-ერთ ასოციაციას ეკუთვნის. ალენ-ბოლდუინ ეკლესიის ეპისკოპოსთა ევროპის ასოციაციის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტია.

ეს ასოციაცია ბელგიელ ეკლესიის ეპისკოპოსთა ჯგუფთან ერთად ეწინააღმდეგება ბირთვული ომის საფრთხეს, ეკლესიის ეპისკოპოსთა ასოციაციის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტ ალენ-ბოლდუინ ჟურნალისტებს ჟენევაში ასეთ ინტერვიუს მისცა.

ალენ-ბოლდუინ ეკლესიის ეპისკოპოსთა ასოციაციის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტ ალენ-ბოლდუინ ჟურნალისტებს ჟენევაში ასეთ ინტერვიუს მისცა.

ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲪᲝᲚᲜᲐ—ᲛᲐᲡᲚᲔᲑᲡ

სიახლენი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

შარშან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბევრი ცვლილება და დამატება იქნა შეტანილი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ამ ბრძანებულებათა შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1982 წლის 29. დეკემბერს გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც მთელი რიგი ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში. ეს ცვლილებანი ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 1 იანვრიდან.

კოდექსის 146-ე მუხლმა და დანართმა განიცადა გარკვეული ცვლილება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეთაგანია დანაშაულის ჩამდენი ბირების მიმართ სასჯელის ღონისძიებათა დადგენისას დიფერენცირებული მიდგომა. სახელდობრ, დადგენილია შედარებით მსუბუქი სასჯელები იმ პირთა მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს არამძიმე დანაშაული და ნაკლებად საშში არიან საზოგადოებისათვის.

დაწესდა განაჩენის აღსრულების გადადება. ეს ინსტიტუტი (სსკ 47[1] მუხლი) 1977 წელს იქნა შემოღებული არასრულწლოვან დანაშაულთა მიმართ. კანონმდებელმა გაფართოვა ამ ნორმის მოქმედების სფერო და იგი გაავრცელა სრულწლოვან დამნაშაულთა მიმართაც. იმ პირთათვის სასჯელის შეფარდებისას, რომლებსაც პირველად ედებთ მსჯავრი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, დანაშაულის ხასიათის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, პიროვნების და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, აგრეთვე იმის მხედველობაში მიღებით, რომ პირის აღზრდა-გამოსწორება შეიძლება საზოგადოებისაგან მისი იზოლაციის გარეშე, სასამართლოს შეუძლია გადადოს განაჩენის აღსრულება ერთიდან ორ წლამდე, თუ მსჯავრდადებული ამ ვადაში არ ჩაიდენს სხვა დანაშაულს, სასამართლოს განჩინებით იგი თავისუფლდება სასჯელისაგან.

თუ არასრულწლოვანთა მიმართ ეს ნორმა შეიძლებოდა გამოყენებულიყო ყველა სახის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ამჟამად დაწესდა მნიშვნელოვანი შეზღუდვები, კერძოდ, ეს ნორმა საერთოდ არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა განსაკუთრებით საშში სახელმწიფო დანაშაული: ბანდიტიზმი, განზრახ მკვლელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება ჯგუფურად, ან რომელსაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურება, განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობა; ასევე იმ დამნაშავეთა მიმართ, რომლებსაც სასჯელთან ერთად ენიშნებათ ალკოჰოლიზმის ან ნარკომანიის იძულებითი მკურნალობის ზომები, ანდა არ გაუვლიათ ვენერიული დაავადების მკურნალობის სრული კურსი.

გაფართოვდა განაჩენის აღსრულების გადიდების გაუქმების პირობებიც. სახელდობრ, განაჩენის აღსრულების გადიდების გაუქმების მოთხოვნა შეუძლია არა მარტო შინაგან საქმეთა ორგანოს ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, არამედ იმ შრომითს კოლექტივსაც, რომელსაც დავალებული ჰქონდა მსჯავრდადებულზე მეთვალყურეობა. ამასთან ამ საკითხის დაყენება ხდება არა მარტო სასამართლოს მიერ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის საგრძნობლად გაფართოვდა იმ დანაშაულთა სფერო, რომელთა მიმართ შეიძლება ჯარიმის გამოყენება როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით. კოდექსის 23-ე მუხლს დაემატა სასჯელის სახედ ჯარიმა, ხოლო 67 შემთხვევაში გაიზარდა ჯარიმის ოდენობა.

იმ შემთხვევაში, როცა პირი თავს არიდებს ჯარიმის გადახდას, სასამართლოს შეუძლია გადაუხდელი თანხა შეუცვალოს გამასწორებელი მუშაობით —ყოველი ოცი მანეთის ნაცვლად ერთი თვით გამასწორებელი მუშაობა, მაგრამ საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ წელიწადს. ჯარიმის გადახდევინებისას არ შეიძლება იმ ნივთების ჩამორთმევა, რომლებიც კონფისკაციას არ ექვემდებარება.

შემოღებულია სასჯელის სრულიად ახალი ღონისძიება— შრომა-აღმზრდელობის პროფილაქტორიუმში გაგზავნა. კოდექსს ეკრძალება ნივთიერებათა გატაცებისათვის, აგრეთვე უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის მოპოვებისა ან ხმების არასწორი დათვლისათვის (140-ე მუხლი), პურისა და პურეულის სხვა პროდუქტების, პირუტყვისა და ფრინველის გამოსაკვებად ყიდვისათვის (173[1] მუხლი), გემის ან სხვა მცურავი საშუალების კაპიტნის მიერ ადამიანების ჯანმრთელობის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მაგნე ნივთიერებათა ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობისათვის (176[2] მუხლი), ტყის უკანონო გაჩეხვისათვის (178 მუხლი).

კოდექსს დაემატა სრულიად ახალი შინაარსისა და უაღრესად საჭირო 203[2] მუხლი, რომლითაც დანაშაულად ითვლება გარკვეული თანამდებობის ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს განაჩენის შეუსრულებლობა. ასეთი ქმედობა, როცა იგი ჩადენილია იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც გამოტანილია განაჩენი, ისჯება 200 მანეთამდე ჯარიმით, ხოლო თუ ამ დანაშაულს ჩაიდენს თანამდებობის პირი, რომელიც სარგებლობს სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან დათხოვნის უფლებით, ისჯება 300 მანეთამდე ჯარიმით ან სამუშაოდან დათხოვნით.

გაძლიერდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობისათვის, კერძოდ, გაიზარდა სასჯელის მინიმალური ზღვარი, დაზუსტდა ამ დანაშაულთა შემადგენლობა, ცალკე სახედ იქნა გამოყოფილი სადგომში ან სხვა საცავში შეღწევით ჩადენილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობა, ძარცვა და ყაჩაღობა.

საგრძნობლად შეიცვალა კოდექსის 165-ე მუხლი, რომელიც სპეკულაციისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. სახელდობრ, ამ მუხლიდან ამოღებულია მესამე ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა წვრილმანი სპეკულაციისათვის და იმავე მესამე ნაწილის სახით დაემატა სპეკულაცია, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან იმ პირის მიერ, რომელიც წინათ იყო ნასამართლევი სპეკულაციისათვის. ამ სახის სპეკულაცია სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის ხუთიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით, ე. ი. თუ წინათ სპეკულაციისათვის სასჯელის მაქსიმალური ზომა იყო 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ამჟამად ეს ზომა გაიზარდა 10 წლამდე. გარდა ამისა, ამ მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულია სასაქონლო დოკუმენტებით სპეკულაცია, მეორე ნაწილიდან კი განსაკუთრებით საშში რეციდივისტის მიერ ჩადენილი სპეკულაცია. ამასთან მეორე ნაწილით გათვალისწინებული „სპეკულაცია ხელობის სახით“ შეიცვალა „არაერთგზის ჩადენილი სპეკულაციით“.

დიდი ოდენობით ჩადენილი სპეკულაცია იყო და დარჩა აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილში. ძალაში რჩება აგრეთვე სასამართლო პრაქტიკით დადგენილი მოგების ოდენობა (200 მანეთი,) რაც მაკვალიფიცირებულია „დიდი ოდენობის



მომღერლის უკვდავება

ორხევში გაიხსნა ნიკო ქუმსიაშვილის სახლ-მუზეუმი

შემოდგომის ფერებით მოხატულ ორხევის მიდამოს დიდი ხანია აღდენი ხალხი არ სტუმრებია. აქ, თიანეთის რაიონის ამ პატარა სოფელში, დაიბადა და ყრმობის წლები გაატარა საქართველოს სახალხო არტისტმა ნიკო ქუმსიაშვილმა, მომღერალმა, რომელმაც თბილისის ოპერის თეატრში ლეგენდარული ვანო სარაჯიშვილი შეცვალა და თვით ზაქარია ფალიაშვილის აზრით, „ჩინებული აბესალომი“ აღმოჩნდა. ნიკო ქუმსიაშვილმა სულ თხუთმეტი წელი დაჰყო საოპერო სცენაზე და თავისი შემოქმედებით წარუშლელი კვალი დატოვა ეროვნულ საოპერო ხელოვნებაში.

...საზეიმოდ მოურთავთ ნიკო ქუმსიაშვილის ეზო-ყურე. ბექობზე შემდგარი ქართული მთის სოფლისათვის დამახასიათებელი სახლის წინ ფშაური ტახსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდობა შეკრებილა. ისინი, სოფლის მშრომელებთან ერთად გულთბილად ეგებებიან თბილისიდან თუ მეზობელი რაიონებიდან ჩამოსულ სტუმრებს — გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეებს, მომღერლებს, მსახიობებს, მწერლებს, მხატვრებს, რომლებიც პარტიის თიანეთის რაიკომის, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოსა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების თაოსნობით ნიკო ქუმსიაშვილის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით მისი სახლ-მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმს ეწვივნენ.

როგორც საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის პირველმა მდივანმა შოთა ქისტაურმა აღნიშნა, ოვაწლმოსილი მამულიშვილის ღირსეულ დაფასების ყოველთვის დიდი სიკეთე მოსდევს. ნ. ქუმსიაშვილის დაბადების 70 წლისთავზე თიანეთში მისი სახელობის საზუსიკო სკოლა გაიხსნა, ახლა კი რაიონის მშრომელებმა კულტურის კიდევ ერთი ახალი კერა მიიღეს და, ვფიქრობთ, ამით ამიერიდან დასაბამი მიეცემა ახალ ტრადიციას — ყოველ სექტემბერს ორხევში მოეწყოს ნიკო ქუმსიაშვილის სახელობის ზუსიკოს ვოკალისტთა ფესტივალი.

პარტიის რაიკომის მდივნის ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირა მხარი საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დიმიტრი ალექსიძემ, რომელმაც თავის მხრივ წინადადება წამოაყენა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში დაწესდეს ნიკო ქუმსიაშვილის სახელობის სტიპენდია.

სახელოვანი მომღერლის მოღვაწეობაზე, მის დიდებულ ვოკალურ მონაცემებზე, რეპერტუარის მრავალფეროვნებაზე, დიდ შრომისმოყვარეობასა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულზე დამსწრე საზოგადოებას ესაუბრნენ მუსიკათმცოდნეები პავლე ხუჭუა, ანტონ წულუკიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები აკაკი ძიძიგური, მანანა ახმეტელი, ისტორიკოსი ჯიბო ლომაშვილი, მოგონებებს პოეტების მიხეილ ქვლივიძის, ნანა ღვინეფაძისა და ალაზა ხაიაურის ლექსები მოჰყვა.

თავის სამადლობელ სიტყვაში მოღვაწის ქალიშვილმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა როდამ ქუმსიაშვილმა, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ნიკოს სახელის უკვდავყოფას, აღნიშნა, თუ როგორ უზომოდ უყვარდა მამამისს თავისი მშობლიური მხარე და როგორ იღვწოდა მისი სიკეთისათვის. თავის შვილებსაც, თურმე, მუდამ შთააგონებდა: ეცადეთ, ბევრი თუ არა, მცირედი სიკეთის კვალი მაინც დაჩნიოთ თქვენი მაღა-პაპების ნამაგარსო.

...გაისმის ნიკო ქუმსიაშვილის გულში ჩამწვდომი საამო ხმა — აბესალომის არია ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“. იწყება მოღვაწის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტები, თბილისის დრამატული თეატრის მსახიობები, ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის მომღერლები, თიანეთის სამუსიკო სკოლისა და რაიონის კულტურის სახლის ბომღერალთა გუნდი და რაც, განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, თვით ნიკო ქუმსიაშვილი, რომლის ხმა ძველი ფირფიტებიდან მოსკოვის სარეტავრაციო განყოფილებაში აღადგინა ანზორ ერქომაშვილმა.

და აი, იხსნება სახლ-მუზეუმის კარი და მნახველთა თვალწინ ცოცხლდება ნიკო ქუმსიაშვილის მშობლიური კერა. ფშაური ტანსაცმელი, ხალხური ორნამენტებით მოქარგული ბალიშები და ნონები, სპილენძისა და თიხის ჯამ-ჭურჭელი, ძველი დიდი ტახტი და სკივრი, ბუხარი და მონადირის აღკაზმულობა თავისებურ ელფერს მატებს აქაურობას. კედელზე გაკრული ნიკოს წინაპართა ფოტოსურათები, მისი დედისადმი მოწერილი წერილები ნათლად გვიხასიათებს ამ უაღრესად კეთილშობილი ადამიანის ბუნებას. მეორე დარბაზში გამოფენილი ექსპონატები კი ძირითადად ნიკოს ბოღვაწეობას ასახავს. ფოტოსურათები წარმოგვისახავენ მომღერალს აბესალომის („აბესალომ და ეთერი“,), მალხაზის („დაისი“), რადამესის („აიდა“), მანრიკოს („ტროუბადური“), ჰერცოგის („რიგოლეტო“), ოტელოს („ოტელო“), კავარადოსის („ტოსკა“), რუდოლფის („ბოჰემა“), კანიოს („ჯამბაზები“), ტურიდუს („სოფლის პატიოსნება“), ხოზეს („კარმენი“), რაულის („ჰუგენოტები“) და სხვა როლებში.

ვეთხოვებით სახლ-მუზეუმს და კვლავ გვაგონდება ნიკოს ქალიშვილის. ქალბატონ როდამის სიტყვები — მინდა გავიხსენო მამა-ჩემის თანამედროვენი, მისი კოლეგები — ყველას თავისი პატივი ერგება, ყველას სჯირდება ღირსეული დაფასება და გახსენება. თითოეულმა მათგანმა ხოლ ქართულ ვოკალურ ხელოვნებას დიდი ამაგი დასდო. ჩვენს წინაპართა გახსენებას და აწმყოსთან დაკავშირებას კი მამულისა და მშობლის, აღმზრდელისა და წინამძღოლის სიყვარული ჰქვია, მისი რდგეწყება ჰქვია.

ლ. ხუგულური.



სურათზე: ნ. ქუმსიაშვილის სახლ-მუზეუმის საზეიმო გახსნა. მ. ბაბოვის ფოტო.

მოსკოვის ტატამის ფოტოფანჯარა

ძიუდოისტთა XIII მსოფლიო ჩემპიონატში მსოფლიოს 47 ქვეყნის სპორტსმენები ისპარეზობდნენ, რაც მსოფლიო ჩემპიონატის რეკორდი გახლდათ. რეკორდული იყო ამ სახეობისთვის აქ აკრედიტებულ ჟურნალისტთა და, რაც მთავარია, მაყურებელთა რაოდენობაც — სასახლის ტრიბუნების 12 ათასი ადგილი ყოველდღიურად შევსებული იყო. და, ალბათ, სწორედ ამიტომ შენიშნა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, 81 წლის სიგეეი მაცუმაემ (იაპონია), რომ „მთელ მსოფლიოში ძიუდო სწრაფად ვითარდება, იგი ისეთი სახეობის სპორტია, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ განვითარებას. აი, რატომ ვეკიდები უაღრესი პასუხისმგებლობის გრძნობით ჩემთვის და ჩვენი საერთაშორისო ფედერაციისათვის დაკისრებულ ყველა მოვალეობას. ძიუდო მარტო იმისთვის როდია მოწოდებული, რომ ეს სახეობა განვითარდეს, არამედ იმისთვისაც, რომ ხალხთა შორის მეგობრობა და მშვიდობა განმტკიცდეს“.

მოსკოვის ტატამზე დამთავრებული ჩემპიონატი ნათელი დადასტურება გახლდათ იმისა, რომ ამომავალი მზის ქვეყნიდან შემოჭრილმა ამ შესანიშნავი სახეობის სპორტმა მართლაც ეფარად მოიკიდა ფეხი ევროპაში. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მედლების უდიდესი რაოდენობა ევროპის 12 ქვეყნის სპორტსმენებს შორის განაწილდა (24 მედალი), აზიის ერთადერთმა ქვეყანამ — ძიუდოს სამშობლომ —იაპონიამ 7 მედალი მიიღო, ამერიკის კონტინენტიდან აშშ-ს გუნდს წილად 1 ჯილდო ხვდა. როგორც ხედავთ, ევროპა შესამჩნევად დაწინაურდა, მაგრამ ისიც ნათელია, რომ იაპონელები არ თმობენ პოზიციებს (მათ ხომ რვა შესაძლებლიდან 7 მედალი, აქედან 4 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს) და საკმაოდ მძლავრი რეზერვებიც გააჩინათ.

მოსკოვში მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს გაიმართა სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის ძიუდოს კომისიის სხდომა, რომლის მუშაობაში ამ სტრიქონების ავტორმაც მიიღო მონაწილეობა. ამ კომისიის თავმჯდომარემ, ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ ჟან-ფრანსუა რენომ ინფორმაცია გააკეთა 1979 წლიდან (ამ კომისიის შექმნიდან) დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ძიუდოს პოპულარობა ისე გაიზარდა, რომ იმართება სხვადასხვა რანგის ჩემპიონატები ძიუდოისტ ქალთა შორისაც. და, შესაძლოა, ახლო მომავალში ქალებმა ოლიმპიურ ასპარეზობაშიც მიიღონ მონაწილეობაო. ამის საილუსტრაციოდ დღევანდელ ფოტომასალაში გთავაზობთ ჟურნალ „ბრიტიშ ძიუდოს“ სეპტემბრის ნომრის გარეკანზე მოთავსებულ ძიუდოისტ ქალთა შეხვედრის მომენტს (საბჭოთა კავშირში ამ სახეობაში ქალები მეცადინეობენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და ჩვენი ქვეყნის რამდენიმე ქალაქში).

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილ პლაკატზე, რომლის შესრულებისას მოსკოველ მხატვარს გამოუყენებია საბჭოთა და უცხოეთის გამოცემებში დასტამბული ქართველი ფოტოჟურნალისტის სანდრო კოტორაშვილის მიერ სამი წლის წინათ თბილისში გამართულ „საერთაშორისო ტურნირზე გადაღებული ფოტოსურათი. ნიმანდობლივია ისიც, რომ ამ სურათზე აღბეჭდილი არიან თამაზ ნამგალაური და იაპონელი ძიუდოისტი, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული ხიდეტოსი ნაკანისი და აქ სწორედ ის მომენტია გამოსახული, როცა ნამგალაური გდების უტარებს მეტოქეს. ერთი სტუდიათ, სამი წლის წინათ ნამგალაურმა გაიმარჯვა, ამჯერად კი ნაკანისმ ივაჟკაცა. როგორც ხედავთ, იაპონელისთვის თბილისში მიღებულ გაკვეთილს უქმად არ ჩაუვლია. რაც შეეხება ნამგალაურს, „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ გახვლილ ჩემპიონატზე მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ ჯილდოსათვის გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ნამგალაურმა (მარცხნივ) რუშარ მელილო (საფრანგეთი) დამარცხა და პლაკატიდან მარჯვნივ მოთავსებულ სურათზე სწორედ მათი შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი. ქვემოთ სურათზე ქვემან ხედავთ არათუ იაპონელთა, მთელი პლანეტის მართლაც ლეგენდად ქცეულ ძიუდოისტს, უკვე ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონს იასუხირო იამაშიტას, რომელიც ჰოლანდიელ ვილ ვილჰეიმთან ფინალურ ბრძოლას წმინდა გამარჯვებით (შებოჭვით) ამთავრებს.

ჯ. ენუქიძე.

„კომუნისტის“ სპეც. კორ. ვ. ბანჩუკის ფოტო.



წიგნის თარო

ყოველდღიურად გაისმის სცენიდან სიყვარულისა თუ სიძულვილის სიტყვები, რომელსაც წარმოთქვამენ მსახიობები, . უძნელესი და ამასთანავე კეთილშობილი პროფესიის ადამიანები. ხელოვნების მოღვაწენი, ჩვენი ფიქრების მესაიდუმლენი — ისინი მნიშვნელოვანწილად აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს, როდესაც გვიამბობენ ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, მოუწოდებენ ადამიანებს მხარში ედგნენ, პატივისცემით ეკიდებოდნენ ერთმანეთს, უყვარდეთ ერთურთი. ფასდაუდებელია მათი გარჯა, აგრეთვე გარჯა ადამიანისა, რომელიც შემოქმედთა შემდეგ აკვირდება და აანალიზებს . მათი აღმაფრენისა თუ მარცხის მომენტებს, იწერს, ჩაინიშნავს ყოველივეს და ხდის იმათ კუთვნილებად, ვისაც არ ჰქონია შესაძლებლობა დარბაზში ყოფილიყო იმ ბედნიერ ჟამს, როცა შემოქმედისა და მაყურებლის შეხვედრა მოხდა. დაეშვა ფარდა. დამთავრდა სპექტაკლი თუ კონცერტი. მაყურებელმა დატოვა დარბაზი, და ამ მომენტიდან მთავრდება ამა თუ იმ წარმოდგენის სიცოცხლე, თუ იგი არ დაიფიქსირა საქმეში ჩახედული ადამიანის ხელმა. შემოქმედსა და მსახიობს უკან დარჩათ განცდილი მღელვარების საათები და წუთები, ხოლო კოლექტიური შრომის დამფასებლისა და მკვლევარისათვის იწყება გრძელი დაძაბული დღეები, კვირები, თვეები, წლები...

თუ ეს დამფასებელი შემოქმედია, რომელსაც ძალუძს ობიექტურად და კომპეტენტურად გამოუტანოს „განაჩენი“ ნანახს, მაშინ იგი ვერ იქნება მშვიდი და გულგრილი თავის განსჯაში. იმისათვის, რომ შეაქო, უნდა აფასებდე და აძრნევდე არა მარტო იმას, რაც სცენაზე ხდება, არამედ იმასაც, რაც აქამდე მოხდა, წინ უძღოდა მას. სეისმოგრაფიული სიფაქიზე თუ არ გაქვს, ვერ იქნები ხელოვნებათმცოდნე, შემოქმედებითი შრომის პირუთგელი დამფასებელი. კალმოსნობის ნიჭი სულაც არ ნიშნავს გქონდეს მორალური უფლება წერო ხელოვნების შესახებ. აქტიორისა და რეჟისორის გული ძალზე ფაქიზია, მას ესაჭიროება გულისხმიერება და უნარი ყური მიუგდო ამ გულის ფეთქვას. თეატრმცოდნე, კრიტიკოსი — იგივე დასტაქარია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სკალპელის ნაცვლად კალამი უჭყრია ხელთ.

თავისი საქმის სწორედ ასეთი სანაქებო მცოდნე გახლავთ ადამიანი, რომელზეც ქვემოთ გვიქნება ლაპარაკი. ცნობილი ქართველი თეატრმცოდნე და კრიტიკოსი, თეატრალური ხელოვნებისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომის ავტორი ვასილ კიკნაძე ოც წელიწადზე მეტია, უაღრესად ყურადღებით აღნუსხავს მსახიობთა, რეჟისორთა, კომპოზიტორთა შრომას, რომლებიც თავიანთი ხელოვნების მეოზებით აღანთებენ მაყურებლის გულს, აზიარებენ მშვენიერების სამყაროს.

მისი კვლევის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტია თეატრი, რომელსაც აგერ უკვე რამდენი ხანია ესოდენ დიდი ტკბობა მოაქვს საზოგადოებისათვის. სწორედ თეატრის სცენიდან იღება მაყურებელი ქვეყნის წარსულისა და აწმყოს ამბებს, სწავლობს ცხოვრებას, საზოგადოების ანტიპოდებთან ბრძოლას.

საბჭოთა თეატრის პროპაგანდისტთა რაზმში შესამჩნევი ადგილი უკავიათ ქართველ თეატრმცოდნეებს, რომლებმაც საინტერესო ხელოვნებათმცოდნეობითი ნაშრომებიც შექმნეს. გამოვიდა მრავალი წიგნი, რომლებიც ასახავენ როგორც რევოლუციამდელი, ისე საბჭოთა პერიოდის საქართველოს თეატრების განვითარების გზებს.

თვალსაჩინო ქართველ თეატრმცოდნე მეცნიერებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ვასილ კიკნაძეს. მის კალამს ეკუთვნის ბევრი ნაშრომი ქართული ხელოვნების, კერძოდ, თეატრის შესახებ.

ვ. კიკნაძის შესანიშნავი გამოკვლევა „რეჟისორული პორტრეტები“, . . რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოვიდა, ხელოვნებათმცოდნე სპეციალისტთა და ფართო წრის მკითხველთა სამაგიერო წიგნი გახდა. ამ ცოტა ხნის წინ კი მან გაგვახარა ორი საუცხოო წიგნით, რომლებსაც ეწოდება „ქართული რეჟისურის ისტორიის ნარკვევები“ და „რუსთაველიდან გალაკტიონამდე“. ისინი გამოსცეს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. ორივე წიგნი ერთხელ კიდევ ადასტურებს ავტორის უბადლო მეცნიერულ აზროვნებას, მის მგზნებარე ტემპერამენტსა და ნაკვლევი მასალის კომპეტენტურობას. დიახ, სწორედ მისთვის დამახასიათებელი პატრიოტული გზებითა და დაუდგრომლობით მხოლოდ ვ. კიკნაძეს შეეძლო „გადაეტრიალებინა“ მთელი არქივები, დაეგბერტყა ისტორიის მტვერი და აღედგინა შთამომავლობისათვის საქართველოს მრავალსაუკუნოვანი თეატრალური ხელოვნება. პირველ წიგნში „ქართული რეჟისურის ისტორიის ნარკვევები“ (იგი ხუთას გვერდიანია), მან შეძლო გადმოეცა ქართული რეჟისორული აზროვნების მთელი ისტორია. მკითხველის წინაშე ავტორი ნათლად წარმოაჩენს სხვადასხვა თაობის ადამიანთა შემოქმედებითს ბედს. ჩვენ ვიგებთ, როგორ და რა გზით ისახებოდა და ვითარდებოდა თავისთავადი, ღრმა და ნიჭიერი მადლიანი ქართული რეჟისურა.

ავტორი გულდასმით, არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო თეატრალური რეჟისურის ისტორიის მთელი დაგროვილი მასალის ცოდნით აშუქებს, ერთმანეთს უდარებს მრავალი ერის სულიერ სიმდიდრეს, და ამ შედარების საფუძველზე აჰყავს ქართული რეჟისურა კვარცხლბეკზე, რომელიც მან დაიმსახურა.

თუ თავში — „ძველი ქართული თეატრის რეჟისურის სათავეები“ ავტორი შედარებით სიტყვაძუნწი და მოკრძალებულია თავის განსჯაში, უკვე „XIX საუკუნის ქართული თეატრის რეჟისურის“ თავში იგი არ ერიდება გაბედულ პოლემიკას, ჯეროვან სიმაღლეზე აჰყავს და პრინციპულ შეფასებას აძლევს ყველა იმ სპექტაკლს, რომელიც საეტაპო იყო ქართული რეჟისურის ისტორიაში; ამავე თავში ავტორი დაწერილებით ახასიათებს ყველა იმ მოღვაწეს, რომლებიც წარსული საუკუნის თეატრის სათავეებთან იდგნენ.

წიგნში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ქართული რეჟისურის კლასიკოსს კოტე მარჯანიშვილს. მეოცე საუკუნის გამორჩენილი ქართველი რეჟისორის, სინთეზური თეატრის ახალი ნორმებისა და პრინციპების შემქმნელის — კოტე მარჯანიშვილისადმი მიძღვნილ თავში დიდი რეჟისორი წარმოგვიდგება არა მარტო როგორც შესანიშნავი სპექტაკლების თუ ახალი თეატრალური ორგანიზმის შემოქმედი, არამედ, უმთავრესად, როგორც პედაგოგი, ძმობისა და მეგობრობის მეხოტბე.

ვ. კიკნაძე განსაკუთრებულ ადგილს უთმობს თავის წიგნში ქართული რეჟისურის მეორე კლასიკოსს სანდრო ახმეტელსაც. ნათლად წარმოგვიდგება ეს საინტერესო და უნიჭიერესი ადამიანი, სცენის რომანტიკოსი, ქართული ჰეროიკული, ჰერო�ტად რომანტიკული თეატრის მემდეგარი. და თავის უდავოდ ღრმასა და ტევად ნაშრომში ვ. კიკნაძე ცდილობს ხაზი გაუსვას თანამედროვეობის ორი დიდი რეჟისორის შეხედულებათა სხვადასხვაობას და ამავე დროს წარმოაჩინოს მათი შემაკავშირებელი იდეური მიმართულებანი.

წიგნში დაწერილებით არის გაანალიზებული ჩვენი საუკუნის 30-40-იანი წლების ქართული რეჟისურის წარმატება-წარუმატებლობანი. ავტორი გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი გავლენა მოახდინა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის შემოქმედებამ ქართული სცენის მთელ შემდგომ ბედზე, მეტადრე, რეჟისურაზე.

ვ. კიკნაძე თავის გამოკვლევას ამთავრებს 70-იანი წლების რეჟისორული ძიებით, და დაწვრილებით აშუქებს ქართული სცენის თვალსაჩინო მოღვაწეთა შემოქმედებას.

ავტორის მეორე წიგნი, რომელიც პირველს მოჰყვა, და გამოვიდა სახელწოდებით „რუსთაველიდან გალაკტიონამდე“, წარმოაჩენს ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების სულ სხვა წახნაგს. ვ. კიკნაძემ საბჭოთა თეატრთმცოდნეობაში პირველმა გააშუქა თეატრის ისტორიისა დრამატურგიის ევოლუციის მეშვეობით. ნაბიჯ-ნაბიჯ აშუქებს მწერლობის გზას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე უწყობდა ხელს ქართული თეატრის ჩასახვასა და ჩამოყალიბებას. წინა წიგნისაგან განსხვავებით აქ იგი გვიჩვენებს ქართული დრამატურგიის წარმოქმნას, მის წამყვან როლს თეატრის საქმიანობაში. მკითხველი ხედავს, თუ როგორ ხდება ხელოვნების ერთ-ერთი ძველი სახეობა — სანახაობა, მასობრივი ხალხური თამაში ბერიკაობა საქართველოში თეატრალური ხელოვნების ჩასახვის საფუძველი და როგორ იქცევა ხალხური ზეპირსიტყვიერება წარმოდგენის საძირკვლად.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხალხურ თეატრს, მასობრივ საჯარო ხელოვნებას, რომელიც ყოველ ეპოქაში განსაზღვრავდა საზოგადოების გემოვნებასა და სულიერ სამყაროს.

წიგნში ნათლად არის ნაჩვენები ქართული ლიტერატურის როლი არა მარტო რეჟისურის, აქტიორული ოსტატობის განვითარების, არამედ საერთოდ, მთელი საქართველოს სულიერი ცხოვრების განვითარების საქმეში. ავტორი დაწერილებით გვიამბობს, თუ რა გავლენას ახდენდნენ მწერლები თავიანთი შრომით კულტურის ყველა სფეროზე: როგორ ფართოვდებოდა და მტკიცდებოდა შემოქმედთა ჯგუფის განმანათლებლური ტრადიცია, რომელიც მოიცავდა არა მარტო საქართველოს ცენტრს, არამედ აგრეთვე პერიფერიის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას.

პროფესორ ვ. კიკნაძის გამოკვლევა იმიტომ არის უაღრესად მნიშვნელოვანი და ყურადსაღები, რომ იგი სცილდება თეატრმცოდნეობის ფარგლებს და მოიცავს ხალხის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების მთელ კულტუროლოგიურ ასპექტს.

თავის წიგნებში ავტორი საინტერესო სამწერლო მანერით აცნობს მკითხველებს ქართული თეატრალური ხელოვნების ჩასახვა-განვითარებას, ხელოვნებასა, რომელმაც შეისისხლხორცა მსოფლიო თეატრალური კულტურის საუკეთესო ტრადიციები.

კარგი იქნება, თუ მომავალში ეს წიგნები რუსულ ენაზეც თარგმნება და გამოიცემა მასობრივი ტირაჟით, რათა მრავალეროვანი საბჭოთა მკითხველი ეზიაროს ამ უნიკალურ, ნოვატორულ აღმოჩენებს, რომლებიც ქართველ ხელოვნების მოღვაწეთ ეკუთვნით.

ა. არლუნი,

აფხაზეთის ასსრ კულტურის მინისტრი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ეძღვნება ქართულ თეატრს

რუსთაველელები — ზუგდიდსა და ხობში

პოლონეთში ტროუმფული გასტროლების შემდეგ თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი ამ დღეებში შემოქმედებითის ანგარიშს აბარებს ზუგდიდსა და ხობში. სამი სპექტაკლი — თ. მეტრეველის „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი“, ა. ჩხაიძის „თავისუფალი თემა“ და „სამიდან ექვსამდე“ შეიტანეს რეპერტუარში თბილისელმა მსახიობებმა, რომლებიც ეწვივნენ თავიანთ ძველ მეგობრებს. მათთან თეატრს აკავშირებს მტკიცე შემოქმედებითი თანამშრომლობა. ზუგდიდში გამოსვლების შემდეგ თბილისელები ჩავლენ ხობში. გაიმართება შეხვედრები ამ რაიონების მშრომელებთან —მეჩაიეებთან და მეცხოველეებთან, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებთან.

ხმოვანი „წიგნები“ უსინათლოთათვის

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ხმოვანი წიგნების გამომცემლობა „სხივი“ ეროვნებრივია რესპუბლიკაში, რომელიც ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს თვალისჩინს მოკლებულთათვის.. აქ მაგნიტოფონებზე იწერება პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, მხატვრული, მეცნიერულ-პოპულარული თუ სხვა სახის ლიტერატურა და უსინათლოსაც საშუალება აქვს დამოუკიდებლად მოისმინოს იგი სპეციალური მაგნიტოფონით, რომლის ღირებულების ნაწილს სახელმწიფო იხდის. დღესდღეობით ამგვარ „წიგნთა“ რაოდენობა ცხრაასს აღემატება და საგულისხმოა ისიც, რომ მთელ კავშირში სწორედ ამ გამომცემლობაში განხორციელდა პირველად უსინათლოთათვის გამიზნული კინოფილმების ბიმზადება. მხატვრულ ფილმთა ფონოგრამას თან ახლავს სადიქტორო ტექსტი, რომელიც განმარტავს სიტუაციებს, აღწერს გარემოს, ფერებს, პერსონაჟთა გარეგნობას, მათს ჩაცმულობასა და ასე შემდეგ.

გამომცემლობამ ამგვარ „წიგნთა“ რუსულ ენაზე გახმოვანებაც დაიწყო არაქართველი მოსახლეობისთვის.

არის სხვა სიახლეც. გამომცემლობის დირექტორის ა. გოგგბერიძის უშუალო ინიციატივით მზადდება სპეციალური რელიეფური რუკები, რომლებიც უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს უსინათლოს გარემოს აღქმასა და ორიენტირებაში.

გამომცემლობის ადმინისტრაციის თხოვნით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში უკვე დამუშავდა თბილისის გეგმა-მაკეტი, რომლის რელიეფურ ვარიანტსაც მოსკოვის პოლიგრაფიული სასწავლო საწარმო დაამზადებს.

მ. ფულუკიძე.

„წიგნები“ უსინათლოთათვის

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ხმოვანი წიგნების გამომცემლობა „სხივი“ ეროვნებრივია რესპუბლიკაში, რომელიც ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს თვალისჩინს მოკლებულთათვის.. აქ მაგნიტოფონებზე იწერება პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, მხატვრული, მეცნიერულ-პოპულარული თუ სხვა სახის ლიტერატურა და უსინათლოსაც საშუალება აქვს დამოუკიდებლად მოისმინოს იგი სპეციალური მაგნიტოფონით, რომლის ღირებულების ნაწილს სახელმწიფო იხდის. დღესდღეობით ამგვარ „წიგნთა“ რაოდენობა ცხრაასს აღემატება და საგულისხმოა ისიც, რომ მთელ კავშირში სწორედ ამ გამომცემლობაში განხორციელდა პირველად უსინათლოთათვის გამიზნული კინოფილმების ბიმზადება. მხატვრულ ფილმთა ფონოგრამას თან ახლავს სადიქტორო ტექსტი, რომელიც განმარტავს სიტუაციებს, აღწერს გარემოს, ფერებს, პერსონაჟთა გარეგნობას, მათს ჩაცმულობასა და ასე შემდეგ.

გამომცემლობამ ამგვარ „წიგნთა“ რუსულ ენაზე გახმოვანებაც დაიწყო არაქართველი მოსახლეობისთვის.

არის სხვა სიახლეც. გამომცემლობის დირექტორის ა. გოგგბერიძის უშუალო ინიციატივით მზადდება სპეციალური რელიეფური რუკები, რომლებიც უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს უსინათლოს გარემოს აღქმასა და ორიენტირებაში.

გამომცემლობის ადმინისტრაციის თხოვნით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში უკვე დამუშავდა თბილისის გეგმა-მაკეტი, რომლის რელიეფურ ვარიანტსაც მოსკოვის პოლიგრაფიული სასწავლო საწარმო დაამზადებს.

მ. ფულუკიძე.

ყოველკვირეული

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 98-22-98, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 98-20-84, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ძალისა და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, საგზაო-სატვირთო ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 98-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 98-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; ზუგდიდი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 3-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყაროები — 28-66; ტყიბული — 25-82.

ტელევიზია

19 ოქტომბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.20 — კონცერტი. 9.55 — მხატვრული ტელეფილმი „წინ ოკეანეა“. მეორე სერია. 11.05 — მღერის ვ. გრიჩჩენკო. 12.35 და 15.30 — — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.50 — უკრავს მ. ერმოლაევი (ფორტეპიანოზე). 17.30 — ახალი ამბები. 17.35 — ჯ. უელსი. ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლები. 18.35 — საჭადრაკო სკოლა. 19.05 — კონცერტი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. მოსკოვის „სპარტაკი“ — ინგლისის „ასტონ ვილა“. 21.45 — თუ გინდა ყო ჯანმრთელი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ევროპის ჩემპიონთა თასი ფეხბურთში, 1/8 ფინალი. უნგრეთის „რაბა“ ეტო—მინსკის „დინამო“. მეორე ტაიმი. 23.15— დღეს მსოფლიოში. 23.25 — თასების მფლობელთა თასი ფეხბურთში. 1/8 ფინალი. დონეცკის „შახტიორი“ — შვეიცარიის „სერვეტი“. მეორე ტაიმი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15, 19.20 და 21.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.35 — ასტრონომია. მე-10 კლასი. 10.05 და 13.50 — გერმანული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. მ. ა. შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“. 14.50 — „იყო საჭირო ხალხისათვის“. „დ. ბ. კაბალევსკი დღეს“. პირველი ფილმი. 15.40 — ჯ. მერიმე. ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლები. 16.25, 19.00 — ახალი ამბები. 19.30 — სოფლის საათი. 20.30. — საესტრადო კონცერტი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.35 — მხატვრული ფილმი „მხილება“. 24.00 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალ